



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
Известия Национальной Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

484 - 8  
2015

**BIOMEDICAL SERIES**

**ბიომედიცინის სერია**

**БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ**

*იანვარი – აპრილი*  
*Январь – Апрель*  
*January – April*

**2015 № 1-2 41**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
Известия Национальной Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

**BIOMEDICAL SERIES**

**ბიომედიცინის სერია**

**БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ**

**2015 № 1-2**

*ტომი*  
*TOM*  
*VOL.*

**41**

ჟურნალი დაარსებულია 1975 წელს  
Журнал основан в 1975 году  
Founded in 1975

თბილისი Тбилиси Tbilisi  
2015

## სარედაქციო კოლეგია

ნოდარ მითავგარი (მთავარი რედაქტორი)  
ფრიდონ თოდუა (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
გურამ ბექაია (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
ჯემს ბიჩერი (აშშ) (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
არკადი სურმავა (სწ. მდივანი)

ნიკო გონგაძე დავით მიქელაძე  
მერაბ კოკაია (შვედეთი) დავით ნადარეიშვილი  
ბორის კორსანტია რომან შაქარიშვილი  
ილია ლაზრიშვილი

## სარედაქციო საბჭო

ტელმან აგაევი (აზერბაიჯანი) ლავრენტი მანაგაძე  
ივა ბერაძე ლევონ მანგულიანი (სომხეთი)  
რევაზ გაგუა დავით მეტრეველი  
აფიკ გაზიევი (აზერბაიჯანი) ბაადურ მოსიძე  
ივანე დემენკო (აშშ) გეორგიე პატარია (ავსტრია)  
ზურაბ ვადაჭკორია ალექსანდრე სკრებიცკი (რუსეთი)  
დმიტრო ვასილენკო (უკრაინა) ზურაბ ქვეანიშვილი  
ოთარ თოიძე ალექსანდრე ცისკარიძე  
არჩილ კეზელი ნინო წაქაძე (აშშ)  
ირინე კვაჭაძე დიმიტრი წვერავა  
დმიტრი კორძაია ბეჟან წინამძღვრიშვილი  
ფელიქს მაკაროვი (რუსეთი) არჩილ ხომასურაძე

კორექტორი: დ. სოხაძე

კომპიუტერული დიზაინი და დაკაპდონება: ა. სურმავა

გამოცემულია საქართველოს ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მიერ  
თბილისი, 0160, დ. გოთუას 14

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

<i>М. Митагвария</i>	(гл. редактор)
<i>Ф. Тодуа</i>	(зам. гл. редактора)
<i>Г. Бекая</i>	(зам. гл. редактора)
<i>Дж.И. Бичер (США)</i>	(зам. гл. редактора)
<i>А. Сурмава</i>	(уч. секретарь)
<i>Н. Гонгадзе</i>	<i>Д. Микеладзе</i>
<i>М. Кокая (Швеция)</i>	<i>Д. Надарейшвили</i>
<i>Б. Корсантия</i>	<i>Р. Шакаришвили</i>
<i>И. Лазришвили</i>	

## РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

<i>Т. Агаев (Азербайджан)</i>	<i>Л. Манагадзе</i>
<i>И. Берадзе</i>	<i>Л. Манвелян (Армения)</i>
<i>З. Вадачкория</i>	<i>Д. Метревели</i>
<i>Д. Василенко (Украина)</i>	<i>Б. Мосидзе</i>
<i>Р.О. Гагуа</i>	<i>Е. Патарая (Австрия)</i>
<i>А. Газиев (Азербайджан)</i>	<i>А. Скребицкий (Россия)</i>
<i>И. Демченко (США)</i>	<i>О. Тоидзе</i>
<i>И. Квачадзе</i>	<i>А. Хомасуридзе</i>
<i>З. Кеванишвили</i>	<i>Н. Цакадзе (США)</i>
<i>А. Кезели</i>	<i>Д. Цверава</i>
<i>Д. Кордзая</i>	<i>Б. Цинамдзгвришвили</i>
<i>Ф. Макаров (Россия)</i>	<i>А. Цискаридзе</i>

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

## EDITORIAL BOARD

*N. Mitagvaria* (Editor-in-Chief)

*P. Todua* (Vice-Editor)

*G. Bekaya* (Vice-Editor)

*J.I. Bicher (USA)* (Vice-Editor)

*A. Surmava* (Scientific Secretary)

*N. Gongadze*

*D. Mikeladze*

*M. Kokaia (Sweden)*

*D. Nadareishvili*

*B. Korsantia*

*R. Shakarishvili*

*I. Lazrishvili*

## ADVISORY BOARD

*T. Agaev (Azerbaijan)*

*L. Manvelian (Armenia)*

*I. Beradze*

*D. Metreveli*

*I. Demchenko (USA)*

*B. Mosidze*

*R. Gagua*

*E. Pataraiia (Austria)*

*A. Gaziev (Azerbaijan)*

*A. Skrebitskiy (Russia)*

*Z. Kevanishvili*

*O. Toidze*

*A. Kezeli*

*N. Tsakadze (USA)*

*A. Khomasuridze*

*A. Tsiskaridze*

*D. Kordzaia*

*B. Tsinamdzgvrishvili*

*I. Kvachadze*

*D. Tsverava*

*F. Makarov (Russia)*

*Z. Vadachkoria*

*L. Managadze*

*D. Vasilenko (Ukraine)*

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

**შინაარსი**

**СОДЕРЖАНИЕ**

**CONTENTS**

**დიდი ლულოვანი ძვლების შეუსრულებელი მოტეხილობის  
 პრედიქტორთა კორელაციური ანალიზი**

შ. ბოლქვაძე

**КОРРЕЛЯЦИОННЫЙ АНАЛИЗ ПРЕДИКТОРОВ  
 НЕСРОСШИХСЯ ПЕРЕЛОМОВ ТРУБЧАТЫХ КОСТЕЙ**

Ш. Болквадзе

**CORRELATION ANALYSIS OF PREDICTORS  
 OF NON-UNITED FRACTURES OF THE TUBULAR BONES**

Sh. Bolkvadze ..... 1

**ბინეტიკური დარღვევები**

**პაციენტთა ლოკალური დასხივების დროს**

ა. ზედგინიძე, დ. ლომიძე, ე. ნამჩევაძე, ა. კაპანაძე, თ. ნიკურაძე

**ГЕНЕТИЧЕСКИЕ НАРУШЕНИЯ  
 ПРИ ЛОКАЛЬНОМ ОБЛУЧЕНИИ ПАЦИЕНТОВ**

А. Зедгинидзе, Д. Ломидзе, Э. Намчевадзе, А. Капанадзе, Т. Никурадзе

**GENETIC DISORDERS CAUSED  
 BY LOCAL IRRADIATION OF PATIENTS**

A. Zedginidze, D. Lomidze, E. Namchevadze, A. Kapanadze, T. Nikuradze ..... 9

**ციტოზომული სინაფტოსომური ფაქტორის გავლენა**

**Ca-ATPაზაზე**

ს. კუპრაძე, მ. ჯავახიშვილი

**ВЛИЯНИЕ ЦИТОЗОЛЬНОГО СИНАПТОСОМАЛЬНОГО ФАКТОРА  
 НА Ca-ATФазу**

С. Купрадзе, М. Джавахишвили

**THE EFFECT OF SYNAPTOSOMAL FACTOR ON Ca-ATPase**

S. Kupradze, M. Javakhishvili ..... 15

**II**

**ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობათა გავრცელება ქალაქ თბილისში მცხოვრებ ორსულ ქალთა შორის**

ნ. მორჩილაძე, დ. მეტრეველი, ბ. ტყეშელაშვილი, დ. გაგუა, თ. გაგუა,  
ნ. ლუკავა, მ. ხუციშვილი

**РАСПРОСТРАНЕНИЕ ЗАБОЛЕВАНИЙ ЩИТОВИДНОЙ ЖЕЛЕЗЫ СРЕДИ  
БЕРЕМЕННЫХ ЖЕНЩИН, ПРОЖИВАЮЩИХ В Г. ТБИЛИСИ**

Н. Морчиладзе, Д. Метревели, Б. Ткешелашвили, Д. Гагуа, Т. Гагуа, Н. Лукава,  
М. Хуцишвили

**SPREADING OF THYROID GLAND DISEASES AMONG PREGNANT WOMEN  
LIVING IN TBILISI**

N. Morchiladze, D. Metreveli, B. Tkeshelashvili, D. Gagua, T. Gagua, N. Lukava,  
M. Khutsishvili ..... 21

**ემოციური რეაქციების მნიშვნელობა  
კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაში**

ზ. ნანობაშვილი, ი. ბილანიშვილი, ა. სურმავა, მ. ბარბაქაძე, ი. ხაჩიძე,  
ნ. ხიზანიშვილი

**ЗНАЧЕНИЕ ЭМОЦИОНАЛЬНЫХ РЕАКЦИЙ В РАЗВИТИИ СУДОРОЖНЫХ РЕАКЦИЙ**

З. Нанобашвили, И. Биланишвили, А. Сурмава, М. Барбакадзе, И. Хачидзе, Н. Хизанишвили

**SIGNIFICANCE OF EMOTIONAL REACTIONS  
FOR THE DEVELOPMENT OF SEIZURE ACTIVITY**

Z. Nanobashvili, I. Bilanishvili, A. Surmava, M. Barbakadze, I. Khachidze, N. Khizanishvili..... 31

**ROSACEA: COMPLEX THERAPY AND THE REHABILITATION OF PATIENTS**

T. Sviatenko, O. Kharitonova, O. Starostina

**როზაცეა: კომპლექსური თერაპია და პაციენტების რეაბილიტაცია**

ტ. სვიატენკო, თ. ხარიტონოვა, თ. სტაროსტინა

**РОЗАЦЕА: КОМПЛЕКСНАЯ ТЕРАПИЯ И РЕАБИЛИТАЦИЯ ПАЦИЕНТОВ**

T. Святенко, О. Харитоновна, О. Старостина..... 39

**კორელაციები ოპერაციის ბართულებებსა და პაციენტის ინიციალურ  
მანსათემებლეს შორის ბარბაქის კვლის ტრანსცერვიკალური  
მოტხნილობის V-მაგვარი ფიქსატორით მკურნალობის დროს**

ა. ტყეშელაშვილი

**КОРРЕЛЯЦИИ МЕЖДУ ИНИЦИАЛЬНЫМИ ФАКТОРАМИ ПАЦИЕНТА ПРИ  
ТРАНСЦЕРВИКАЛЬНОМ ПЕРЕЛОМЕ И ОСЛОЖНЕНИЯМИ ОПЕРАЦИИ  
С ПРИМЕНЕНИЕМ V-ОБРАЗНОГО ФИКСАТОРА**

А.З. Ткешелашвили

**CORRELATIONS BETWEEN INITIAL FACTORS OF PATIENTS WITH  
TRANSCERVICAL FRACTURE AND COMPLICATIONS OF SURGERY WITH  
THE USE OF THE V-SHAPED RETAINER**

A.Z. Tkeshelashvili..... 51

**ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის (ვიზუალურად გამაგალი) მონტაჟი – თანამედროვე მენეჯმენტი, თანამედროვე კონსტრუქციები და მათი გამოყენების ჩვენებები**

პ. ლულუშაური, თ. ნოზაძე, მ. ზიმილიცკი, ლ. ჭანტურია, მ. ფირფელაშვილი

**PERELOMY (MEZHVERTEL'NYE) PROKSIMAL'NOY CHASTI BEDRA – SOVREMENNYIY MENEDZHMENT, SOVREMENNYE KONSTRUKTSII I POCAZANIYA K IХ ПРИМЕНЕНИЮ**

П. Гудушаури, Т. Нозадзе, М. Зимлицкий, Л. Чантурия, М. Пирпилашвили

**INTERTROCHANTERIC FRACTURES OF HIP PROXIMAL PART – MODERN MANAGEMENT, MODERN CONSTRUCTIONS AND INDICATIONS FOR THEIR USE**

P. Gudushauri, T. Nozadze, M. Zimlitsky, L. Chanturia, M. Pirpilashvili ..... 57

**კბილის კარიესის გავრცელება კახეთის რეგიონის სსსკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში**

მ. ხარაბაძე, რ. ხეცურიანი, მ. ბეთანელი, ც. ხომერიკი, ა. შუკაკიძე, მ. ფხალაძე, მ. არაბული

**РАСПРЕДЕЛЕНИЕ КАРИЕСА ЗУБА У ДЕТЕЙ ШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА И ПОДРОСТКОВ КАХЕТИНСКОГО РЕГИОНА**

М. Харабадзе, Р. Хецуриани, М. Бетанели, Ц. Хомерики, А. Шукакидзе, М. Пхаладзе, М. Арабули

**THE DISTRIBUTION OF TEETH CARIES IN SCHOOL AGE CHILDREN AND ADOLESCENTS IN KAKHETI REGION**

M. Kharabadze, R. Khetsuriani, M. Betaneli, Ts. Khomeriki, A. Shukakidze, M. Pkhaladze, M. Arabuli..... 81

**კბილის კარიესული დაზიანებები**

**ვიტამინ D რეზისტენტული რიქეტის დროს**

ნ. ჯაფარიძე, მ. კალანდაძე, ვლ. მარგველაშვილი, თ. ჭიგლაძე

**КАРИОЗНЫЕ ПОРАЖЕНИЯ ЗУБОВ ПРИ ВИТАМИН D РЕЗИСТЕНТНОМ РАХИТЕ**

Н. Джапаридзе, М. Каландадзе, Вл. Маргвелашвили, Т. Чигладзе

**CARIES LESIONS OF TEETH WITH VITAMIN D RESISTANT RICKETS**

N. Japaridze, M. Kalandadze, Vl. Margvelashvili, T. Chigladze..... 87

**ДИНАМИКА ИЗМЕНЕНИЙ КРОВотоКА В ИШЕМИЧЕСКОЙ ПЕНАМБРЕ В КОРЕ ГОЛОВНОГО МОЗГА У КРЫС**

Н. Джоджуа, Н. Гонгадзе, М. Пруидзе, Н. Митагвария

**სისხლის ნაკადის ცვლილებების დინამიკა თეთრი ვირთაგვების თავის ტვინის ქერძის ისქემიურ პენაგვრაში**

ნ. ჯოჯუა, ნ. გონგაძე, მ. ფრუიძე, ნ. მითაგვარია

**DYNAMICS OF CHANGES IN BLOOD FLOW IN THE ISCHEMIC PENUMBRA OF RAT'S CEREBRAL CORTEX**

N. Jojua, N. Gongadze, M. Pruidze, N. Mitagvaria ..... 93



## დიდი ლულოვანი კვლების შეუსრულებელი მოტეხილობის პრედიქტორთა კორელაციური ანალიზი

*შ. ბოლქვაძე*

შპს კლინიკა “სინთეზი”, ქ. თბილისი

*კვლევის მიზანია* მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და შეუხორცველი მოტეხილობის ოპერაციული მკურნალობის გამოსავალს შორის.

*მასალა და მეთოდები.* კვლევაში ჩართული იყო 18-79 წლის ასაკის 85 პაციენტი ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული კლინიკის “სინთეზი” კონტინგენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაციული მკურნალობა შეუხორცველი მოტეხილობის გამო. მათგან 35 იყო ქალი და 50 – მამაკაცი. 35 პაციენტს მკურნალობა ჩაუტარდა ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდიკით კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტატების გამოყენებით, 50-ს – ტრადიციული მეთოდებით: მათგან 23-ს – არაკეროვანი ოსტეოსინთეზის, 27-ს – ინტრამედულარული ღეროს გამოყენებით. პაციენტთა მონაცემები შედარდა ფიშერის ზუსტი ტესტით, კორელაციური ანალიზი ჩატარდა სპირმენის რანგული კორელაციის საშუალებით, მასალა დამუშავდა SPSS 22-ის გამოყენებით.

*შედეგები.* იმ პაციენტებში, რომელთაც შეუხორცველი მოტეხილობის მკურნალობის შემდეგ კარგი შედეგი აღენიშნებოდათ, გარკვეული ინიციალური მახასიათებლები სარწმუნოდ ნაკლები სიხშირით ჰქონდათ 45-ის ზემოთ ასაკის პაციენტებს. ასეთი მახასიათებლები იყო: საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგია, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, კანის და რბილი ქსოვილების დაზიანება, ადრეული ინფექცია, გვიანი ინფექცია. კარგი შედეგის ჯგუფში დაფიქსირდა ოპერაციული მკურნალობის სარწმუნოდ მაღალი სიხშირე. დიდი წივის ძვლის შეუხორცველი მოტეხილობის მკურნალობის შედეგები დამოკიდებულია პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებზე.

კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტატების გამოყენება სარწმუნოდ ზრდის დიდი წივის ძვლის შეუხორცველი მოტეხილობის მკურნალობის დადებით შედეგის სიხშირეს.

საკვანძო სიტყვები: წივის ძვალი, შეუხორცველი, ოსტეოსინთეზი

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ტრავმის ნარჩენი მოვლენების მკურნალობას, დღემდე ტრავმატოლოგიის

ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს შეუხორცებელი მოტეხილობების მკურნალობა [3, 4, 5].

შეუხორცებელი მოტეხილობის მკურნალობის შედეგები დამოკიდებულია როგორც ოპერაციის მეთოდებზე, ისე თავად შეუხორცებლობის მიზეზებზე – პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებზე [1].

კვლევის მიზანია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებსა და შეუხორცებელი მოტეხილობის ოპერაციული მკურნალობის გამოსავალს შორის.

## **მასალა და მეთოდები**

კვლევაში ჩართული იყო 18-79 წლის ასაკის 85 პაციენტი ტრავმატოლოგიურ-ორთოპედული კლინიკის “სინთეზი” კონტინგენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ოპერაციული მკურნალობა შეუხორცებელი მოტეხილობის გამო. მათგან 35 იყო ქალი, 50 – მამაკაცი. 35 მათგანს მკურნალობა ჩაუტარდა ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდიკით კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტატების გამოყენებით, 50-ს – ტრადიციული მეთოდებით, მათგან 23-ს – არაკეროვანი ოსტეოსინთეზის, 27-ს – ინტრამედულარული ღეროს გამოყენებით.

### **ჩართვის კრიტერიუმები**

შეუხორცებელი მოტეხილობა, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვაზე.

### **გამორიცხვის კრიტერიუმები**

მძიმე ჰემატოგენური ოსტეომიელიტი.

ჩატარდა ღია არარანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა.

კვლევის მეთოდები – კლინიკური, რენტგენოლოგიური, კლინიკურ-ლაბორატორიული, იმუნოლოგიური.

პაციენტთა მონაცემები შედარდა ფიშერის ზუსტი ტესტით, კორელაციური ანალიზი ჩატარდა სპირმენის რანგული კორელაციის საშუალებით, მასალა დამუშავდა SPSS 22-ის გამოყენებით [2].

## **შედეგები და მათი განხილვა**

კვლევის I ეტაპზე შეუხორცებელი მოტეხილობის კარგი შედეგის მქონე პაციენტები შედარდა არადაზარალებული და დამაზარალებელი შედეგის მქონე პაციენტებთან (ცხრილი 1).

იმ პაციენტებში, რომელთაც შეუხორცებელი მოტეხილობის მკურნალობის შემდეგ კარგი შედეგი აღენიშნებოდათ, გარკვეული ინიციალური მახასიათებლები სარწმუნოდ ნაკლები სიხშირით მქონდათ 45-ის ზემოთ ასაკის პაციენტებს. ასეთი მახასიათებლები იყო: საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგია, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, კანის და რბილი ქსოვილების დაზიანება, ადრეული ინფექცია, გვიანი ინფექცია.

შედგების შედარებამ გვიჩვენა, რომ კარგი შედეგის ჯგუფში პრე-ვალირებდნენ პაციენტები, რომელთაც მკურნალობა ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით ჩაუტარდათ – კორტიკალური ინტრამედულარული აუტორანსპლანტატების გამოყენებით.

ცხრილი 1

**შეუსორცხველი მოტეხილობის ინიციალურ მახასიათებელთა სტატისტიკური შეფასება გამოსავლის მიხედვით**

	კარგი შედეგი		არაღამაკმაყოფილებელი და დამაკმაყოფილებელი შედეგი			
	r	SD	r	SD	F	P
მდედრობითი	0.55	0.51	0.37	0.49	2.20	0.1422
ასაკი:						
16-30	0.14	0.35	0.19	0.40	0.32	0.5719
30-45	0.41	0.50	0.62	0.49	2.96	0.0892
45 წლის ასაკის ზემოთ	0.45	0.51	0.19	0.40	6.22	0.0146
გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია	0.14	0.35	0.08	0.27	0.61	0.4366
საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგია	0.14	0.35	0.02	0.13	5.50	0.0214
ღიაბეტი	0.23	0.43	0.10	0.30	2.54	0.1149
ფარისებრი ჯირკვლის დაავადება	0.23	0.43	0.10	0.30	2.54	0.1149
თირკმლის უკმარისობა	0.05	0.21	0.06	0.25	0.09	0.7603
ანემია	0.18	0.39	0.11	0.32	0.71	0.4010
კუჭ-ნაწლავის დაავადებები	0.18	0.39	0.03	0.18	5.85	0.0178
ქრონიკული ინფექციები	0.14	0.35	0.10	0.30	0.29	0.5946
მწვავე ინფექციები	0.09	0.29	0.00	0.00	6.15	0.0151
პოლიტრავმა	0.05	0.21	0.03	0.18	0.09	0.7675
ჰიპოვიტამინოზი	0.00	0.00	0.02	0.13	0.35	0.5577
არასრულფასოვანი კვება	0.14	0.35	0.05	0.21	1.96	0.1656
ალკოჰოლი	0.14	0.35	0.13	0.34	0.01	0.9115
ნარკომანია	0.00	0.00	0.02	0.13	0.35	0.5577
სიგარეტის წევა	0.55	0.51	0.63	0.49	0.54	0.4645
ღია მოტეხილობა	0.64	0.49	0.70	0.46	0.28	0.5956

ცხრილი 1 (გაგრძელება)

	კარგი შედეგი		არადამაკმაყოფილებელი და დამაკმაყოფილებელი შედეგი			
	r	SD	r	SD	F	P
დახურული მოტეხილობა	0.36	0.49	0.33	0.48	0.07	0.7992
ოპერაციული მკურნალობა	0.73	0.46	0.90	0.30	4.35	0.0400
ინტრამედულარული ფიქსატორები	0.14	0.35	0.17	0.38	0.17	0.6815
ძეალსხედა ფიქსატორები	0.36	0.49	0.46	0.50	0.61	0.4370
არაკეროვანი ფიქსატორები	0.23	0.43	0.29	0.46	0.28	0.6004
ჰიპერტროფული ყალბი სახსარი	0.14	0.35	0.29	0.46	1.95	0.1659
ჰიპოტროფული ყალბი სახსარი	0.27	0.46	0.33	0.48	0.27	0.6042
ატროფიული ყალბი სახსარი	0.59	0.50	0.38	0.49	2.96	0.0892
ფრაგმენტების არასაკმარისი რეპოზიცია	0.32	0.48	0.40	0.49	0.42	0.5179
არასტაბილური ოსტეოსინთეზი	0.23	0.43	0.43	0.50	2.84	0.0955
არაკვალიფიციური ოსტეოსინთეზი	0.14	0.35	0.13	0.34	0.01	0.9115
რბილი ქსოვილების ინტერპოზიცია	0.14	0.35	0.16	0.37	0.06	0.8047
ძელის დიდი დეფექტი ძელის საზრდელას დაზიანებით	0.05	0.21	0.05	0.21	0.00	0.9676
ძელის მიკროციტოკულაციის დარღვევა	0.77	0.43	0.89	0.32	1.81	0.1821
პერიფერიული ნერვის დაზიანება	0.00	0.00	0.00	0.00	-	-
კანის და რბილი ქსოვილების დაზიანება	0.18	0.39	0.03	0.18	5.85	0.0178
ძელის მრავალფრაგმენტოვანი დამსხვრეული მოტეხილობა-დაზიანება	0.41	0.50	0.33	0.48	0.40	0.5278
ადრეული ინფექცია	0.23	0.43	0.02	0.13	12.48	0.0007
გვიანი ინფექცია	0.18	0.39	0.00	0.00	13.67	0.0004
მკურნალობა კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტატების გამოყენებით	0.09	0.29	0.52	0.50	14.47	0.0003

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ადრეულ ინფექციასთან კორელირებენ შემდეგი ფაქტორები: კუჭ-ნაწლავის დაავადებები  $r = 0.283^{**}$ ;

$p = 0.009$  და მწვავე ინფექციები -  $r = 0.260^*$ ;  $p = 0.016$ ; ჰიპოვიტამინოზი -  $r = 0.396^{**}$ ;  $p = 0.000$ ; არასრულფასოვანი კვება -  $r = 0.283^{**}$ ;  $p = 0.009$ ; ძვალსზედა ფიქსატორების გამოყენება -  $r = 0.221^*$ ;  $p = 0.042$ ; კანის და რბილი ქსოვილების დაზიანება, რაც იწვევს კუნთების და ძვლის საზრდელას კვების მოშლას -  $r = 0.641^{**}$ ;  $p = 0.000$ .

გვიან ინფექციასთან კორელირებს 30-45 წლის ასაკი -  $r = -0.253^*$ ;  $p = 0.019$ ; 45-ის ზემოთ -  $r = 0.376^{**}$ ;  $p = 0.000$ ; გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია -  $r = 0.309^{**}$ ;  $p = 0.004$ ; დიაბეტი -  $r = 0.576^{**}$ ;  $p = 0.000$ ;  $p = 0.614$ ; ანემია -  $r = 0.245^*$ ;  $p = 0.024$ ; კუჭ-ნაწლავის დაავადებები -  $r = 0.373^{**}$ ;  $p = 0.000$ ; ქრონიკული ინფექციები -  $r = 0.285^{**}$ ;  $p = 0.008$ ; მწვავე ინფექციები -  $r = 0.332^{**}$ ;  $p = 0.002$ ; კონსერვატიული -  $r = 0.389^{**}$ ;  $p = 0.000$ ; ოპერაციული -  $r = -0.389^{**}$ ;  $p = 0.000$ .

კარგ შედეგთან კორელირებს ახალი მეთოდი -  $r = 0.385^{**}$ ;  $p = 0.000$ ; ოპერაციული მკურნალობა -  $r = 0.223^*$ ;  $p = 0.040$ .

კარგ შედეგთან უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს - ასაკი 45-ის ზემოთ -  $r = -0.264^*$ ;  $p = 0.015$ ; საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგია -  $r = -0.249^*$ ;  $p = 0.021$ ; კუჭ-ნაწლავის დაავადებები -  $r = -0.257^*$ ;  $p = 0.018$ ; მწვავე ინფექციები -  $r = -0.263^*$ ;  $p = 0.015$ ; კონსერვატიული მკურნალობა -  $r = -0.223^*$ ;  $p = 0.040$ ; კანის და რბილი ქსოვილების დაზიანება, რაც იწვევს კუნთების და ძვლის საზრდელას კვების მოშლას -  $r = -0.257^*$ ;  $p = 0.018$ ; ადრეული ინფექცია -  $r = -0.361^{**}$ ;  $p = 0.001$ ; გვიანი ინფექცია -  $r = -0.376^*$ ;  $p = 0.000$ .

ამრიგად, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ დიდი წვივის ძვლის შეუხორცებელი მოტეხილობის მკურნალობის შედეგები დამოკიდებულია პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებზე.

კორტიკალური ინტრამედულარული აუტოტრანსპლანტატების გამოყენება სარწმუნოდ ზრდის დიდი წვივის ძვლის შეუხორცებელი მოტეხილობის მკურნალობის დადებითი შედეგის სისწირეს.

## ლიტერატურა

1. *Мамаев В.И.* Оптимизация хирургического лечения последствий переломов костей с использованием прогностических алгоритмов. Автореф. дисс. на соиск. ученой степени канд. мед. наук. Курган, 2010, 45 с.
2. *Петри А., Сэбин К.* Наглядная статистика в медицине. (Пер. с англ.). Гозтар-мед. Москва, 2003, 144 с.
3. *Giannoudis P.V., Einhorn T.A., Marsh D.* Injury, 2007, 38 (Suppl. 4), S3-6.
4. *Obert L., Deschaseaux F., Garbuio P.* Injury, 2005, 36 (Suppl. 3), S38-42.
5. *Tzioupis C., Giannoudis P.V.* Injury, 2007, 38 (Suppl. 2), S3-9.

## КОРРЕЛЯЦИОННЫЙ АНАЛИЗ ПРЕДИКТОРОВ НЕСРОСШИХСЯ ПЕРЕЛОМОВ ТРУБЧАТЫХ КОСТЕЙ

*Ш. Болквадзе*

Клиника “Синтез”, г. Тбилиси

### РЕЗЮМЕ

**Целью исследования** явилось установление причинно-следственной взаимосвязи между инициальными показателями пациента и исхода лечения несросшихся переломов трубчатых костей с использованием кортикальных интрамедуллярных аутотрансплантатов.

**Материал и методы.** Работа основана на результатах лечения 85 (из них 35 женщин и 50 мужчин) пациентов с несросшимися переломами трубчатых костей, находившихся в клинике «Синтез». В лечении пациентов применяли кортикальный интрамедуллярный ауто-трансплантат. У 23 пациентов применялся неочаговый остеосинтез, у 27 – интрамедуллярный стержень. Статистическая обработка результатов проводилась по критерию F (точный тест Фишера). Корреляционный анализ проводили по Спирмену. Анализ проводили с помощью пакета статистических программ SPSS 22.

**Результаты.** В группе пациентов, у которых после лечения несросшихся переломов трубчатых костей отмечены хорошие результаты, значимо понижена частота: патологии тазобедренного сустава, желудочно-кишечных заболеваний, повреждения кожи и мягких тканей, возраст > 35 лет, инфекции. В группе хороших результатов зафиксирована высокая частота оперативного лечения с использованием кортикальных интрамедуллярных ауто-трансплантатов. Результаты лечения зависят от инициальных показателей пациентов.

Использование кортикальных интрамедуллярных аутотрансплантатов в лечении несросшихся переломов трубчатых костей значительно повышает шанс получения хороших результатов.

## CORRELATION ANALYSIS OF PREDICTORS OF NON-UNITED FRACTURES OF THE TUBULAR BONES

*Sh. Bolkvadze*

Clinic “Synthesis”, Tbilisi

### SUMMARY

**The aim** of the study was to establish a causal relationship between an initial parameters of the patient and the outcome of treatment of non-united fractures of the tubular bones, using intramedullary cortical autotransplants.

**Material and Methods.** The study was based on the results of treatment of 85 (including 35 female and 50 male) patients with non-united fractures of the tubular bones at the clinic “Synthesis”. The intramedullary cortical autotransplants were used in the treatment of patients. No focal osteosynthesis was used in 23 patients, intramedullary pivot – in 27. The statistical processing was performed by the F criterion (Fisher's exact test). The correlation analysis was done by Spearman. The analysis was performed using the statistical software package SPSS 22.

**Results.** The group of patients with non-united fractures of tubular bones who marked good results after the treatment the frequency significantly reduced: hip pathology, gastrointestinal disorders, damage of skin and soft tissues, age > 35 years, infections. In the group of good results a high frequency of surgical treatment with intramedullary cortical autotransplants was recorded. The results of treatment depend on the initial indices of patients. The use of intramedullary cortical autotransplants in the treatment of non-united fractures of the tubular bones significantly increases the chance of good results obtaining.

## **გენეტიკური დარღვევები პაციენტთა ლოკალური დასხივების დროს**

*ა. ზედგინიძე<sup>1</sup>, დ. ლომიძე<sup>2</sup>, ე. ნამჩევაძე<sup>3</sup>, ა. კაპანაძე<sup>3</sup>,  
თ. ნიკურაძე<sup>1</sup>*

<sup>1</sup>ი. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; <sup>2</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი; <sup>3</sup>საქართველოს ჯანმრთელობის ფიზიკის ასოციაცია

საპილოტო კვლევა ჩავატარეთ თავიკისრის ონკოპაციენტებზე, რომლის საშუალებით მოხერხდა ზოგიერთი გენეტიკური მარკერების ცვლილებების შესწავლა სხივური თერაპიის პროცესში. დინამიკაში გამოკვლეული იყო 6 პაციენტი: დასხივებამდე, პირველი დასხივების და სხივური თერაპიის კურსის დამთავრების შემდეგ. დასხივება წარმოებდა წრფივ ამაჩქარებულზე რეჟიმით 2 გრეი/ფრაქცია, ჯამური დოზით 44-55 Gy, ხოლო რადიკალური პროგრამით – 66 Gy. შესწავლილ იქნა ქრომოსომული ცვლილებები, დნმ-ის დარღვევები დნმ-კომპლექტით და მიკრობირთვების დონე პირის ღრუს ექსფოლიატიურ უჯრედებში.

გენეტიკური დაზიანებების არაერთგვაროვნება, რომელიც კორელირებს კლინიკურ შედეგებთან, ადასტურებს კვლევაში გამოყენებული ბიომარკერების ეფექტურობას და ინფორმატულობას სხივური თერაპიის ლოკალური დასხივების დროსაც. ამიტომ, სხივური თერაპიის შედეგების პროგნოზირებისთვის მიზანშეწონილია გენეტიკური მარკერებლების მონიტორინგი.

**საკვანძო სიტყვები:** ლოკალური დასხივება, რადიოთერაპია, გენეტიკური დარღვევები

დღითიდღე მატულობს მაიონიზებული რადიაციის გამოყენება ადამიანის მიერ. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მაიონიზებული რადიაციის გამოყენების ინტენსივობა სხივურ თერაპიაში სიმსივნური და არასიმსივნური პროცესების მკურნალობის დროს [4, 6]. შესაბამისად, გაიზარდა მაიონიზებული რადიაციის მიერ გამოწვეული ბიოლოგიური ზემოქმედების შედეგების როგორც პოპულაციური, ასევე ინდივიდუალური მნიშვნელობა.



მაიონიზებული რადიაციის ძლიერი მუტაგენური ზემოქმედების გამო იგი იწვევს ცვლილებებს ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკურ აპარატში. ამიტომ, გენეტიკური ცვლილებების რეგისტრაცია არის მაიონიზებული გამო-სხივების ბიოლოგიური ეფექტის დაფიქსირების საუკეთესო ბიოლოგიური მარკერი [7].

უნდა აღინიშნოს, რომ გენეტიკური ცვლილებები კარგად არის შეს-წავლილი ადამიანის ორგანიზმის მთლიანი დასხივების დროს (ატომური აფეთქებები, რადიაციული ავარიები და კატასტროფები) და გამოიყენება შთანთქმული დოზის ბიოლოგიური განსაზღვრისთვის [1, 7]. მაგრამ, სხივური თერაპიის ან მაიონიზებული რადიაციის დიაგნოსტიკური გა-მოყენებისას აღნიშნულ მარკერებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. თუმცა, ათწლეულის მანძილზე მეცნიერების ყურადღებას იპყრობს რადიო-თერაპიის და დიაგნოსტიკური პროცედურების დროს დასხივების ზე-მოქმედება ადამიანის გენეტიკურ აპარატზე [2]. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში, ძირითადად, განხილულია *in vitro* დასხივებით გამოწ-ვეული ციტოგენეტიკური ცვლილებები.

რადიოთერაპიის და რადიოდიაგნოსტიკის დროს არსებობს ნორმალური ჯანმრთელი ქსოვილების დასხივებასთან დაკავშირებული რისკი.

მიღებულია, რომ მიმდებარე ქსოვილების დასხივება იწვევს სხივური თერაპიის უახლოეს რეაქციებს და შორეულ გართულებებს. რადიაციის ზემოქმედების ტოტალური ეფექტი მთელს ორგანიზმზე და ცალკეულ უჯრედებზე დამოკიდებულია როგორც რადიაციის დოზაზე, ასევე ქსო-ვილების ინდივიდუალურ რადიომგრძობელობაზე [5]. ჩვენ ჩავატარეთ სპაილოტო კვლევა თავ-კისრის ონკოპაციენტებზე, რომლის საშუალებით მოხერხდა ზოგიერთი გენეტიკური მანვენებლის ცვლილებების შესწავლა სხივური თერაპიის პროცესში.

## მასალა და მეთოდები

კვლევაში მონაწილეობდა 6 პაციენტი (5 მამაკაცი და 1 ქალი), რომ-ლებიც გადიოდნენ სხივურ თერაპიას ხორხის (4), ცხვირ-ხახის (1) და პირხახის (1) ბრტყელუჯრედოვანი კიბოს გამო. დასხივება წარმოებდა წრფივ ამანქარებელზე რეჟიმით 2 გრეი/ფრაქცია, ჯამური დოზით 44-55 Gy, ხოლო რადიკალური პროგრამით – 66 Gy. ციტოგენეტიკური კვლე-ვებისთვის პერიფერიული სისხლის 48 საათიან კულტურებში გაანალიზდა 400-მდე მეტაფაზა. აღირიცხებოდა ყველა ტიპის ქრომოსომული აბერაცია, მათ შორის დიცენტრული ქრომოსომები, რომლებიც სხივური ზემოქ-მედების მარკერები არიან. ასევე გამოიყენებოდა დნმ კომპეტების მეთოდი (ტუტე ვერსია) ღნმ-ის ზოგადი დაზიანების შეფასებისთვის, რაც გა-ნისაზღვრებოდა კომპეტის “კუდის” სიგრძით და მასში ღნმ-ის რაოდენობის პროცენტით [9]. დროის გარკვეული ინტერვალებით მეთოდის განმეორება რეპარაციის პროცესის ინტენსივობის შეფასების საშუალებას გვაძლევდა. ქრომოსომული დარღვევების დამატებითი რეგისტრაციისთვის გამოიყე-ნებოდა პირის ღრუს ლორწოვანის ანაფსკეში მიკრობირთვების მეთოდი

[8]. ამისთვის, სასაგნე მინაზე დატანილი ანაფხეკი კარნუას ფიქსატორით ფიქსირდებოდა, იღებებოდა შიფისა და ლიხტიგრიუნის ხსნარებით და მიკროსკოპის ქვეშ ანალიზდებოდა 1000-2000 უჯრედი.

ყველა პაციენტი გამოკვლეულ იქნა დასხივებამდე პირველი დასხივების და სხივური თერაპიის კურსის დამთავრების შემდეგ.

## შედეგები და გამო ბანნილივა

ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების მნიშვნელობები სხივური თერაპიის დაწყებამდე არ განსხვავდებოდა საკონტროლო მონაცემებისგან (ქრომოსომული აბერაციების რაოდენობა 0.012-0.015 უჯრედზე, ღმმ-ის დაზიანება - 8-12%). სიმსივნური პროცესის ლოკალიზაციის მიუხედავად, პირის ღრუს ლორწოვანის უჯრედებში მიკრობირთვების რაოდენობა შეესაბამებოდა საკონტროლო მონაცემებს ( $2.00 \pm 0.26$ ).

პირველი დასხივების შემდეგ შესწავლილი პარამეტრები მომატებული იყო ყველა შემთხვევაში, თუმცა განსხვავდებოდა სხვადასხვა პაციენტებში. გაიზარდა ქრომოსომული აბერაციების რაოდენობა, გამოჩნდნენ დიცენტრიკები, რის საფუძველზეც განისაზღვრა, რომ მთელი სხეულის დასხივების დროს დაზიანებები შეესაბამებოდა 0.2 Gy-ზე მეტ შთანთქმულ დოზას. ღმმ-ის დაზიანებამ კომეტებში მიაღწია 26-30%-ს. ასევე გაიზარდა მიკრობირთვების რაოდენობა -  $4.33 \pm 0.99$  უჯრედზე (სურ. ა, ბ, გ).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მიკრობირთვების და ღმმ-ის დაზიანების მომატება მკურნალობის შემდეგ მიუთითებს მკურნალობის კარგ ეფექტზე [3, 10].

ბოლო დასხივების შემდეგ პარამეტრების უმრავლესობა საწყის მაჩვენებლებს დაუბრუნდა. ოთხი ასეთი პაციენტის შემთხვევაში აღინიშნა დამაკმაყოფილებელი კლინიკური ეფექტი - სიმსივნე სრულად ალაგდა.

ორი პაციენტის (№4 და №6) შედეგები განსხვავებული იყო. სხივური თერაპიის დამთავრებისას აღინიშნებოდა დიცენტრული ქრომოსომების რაოდენობა უჯრედზე 0.05 და 0.07, შესაბამისად. ამის საფუძველზე განისაზღვრა, რომ მთელი სხეულის დასხივების დროს მათი დაზიანება შეესაბამებოდა 0.6 და 0.8 Gy შთანთქმულ დოზას. პაციენტ №6-ს არასტაბილური ქრომოსომული აბერაციების გარდა, აღინიშნა მარკერული ქრომოსომები (სტაბილური აბერაციები); ღმმ-ის დაზიანების შემცირების პარალელურად მიკრობირთვების რაოდენობა გაიზარდა 0.5-დან 2-მდე.

ასევე კლინიკურადაც აღინიშნებოდა შემდეგი გართულებები: პაციენტ №4-ს - ხორხის შეშუპება და ტკივილები, ხოლო პაციენტ №6-ს არ აღინიშნებოდა სიმსივნის შემცირება, რამაც დამატებით გამოიწვია ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა.

სხივური თერაპიის დამთავრებისას, გენეტიკური დაზიანების არაერთგვაროვნება, რომელიც კორელირებს კლინიკურ შედეგებთან, ადასტურებს კვლევაში გამოყენებული ბიომარკერების ეფექტურობას და ინფორმატუ-


ლობას არა მარტო მთელი ორგანიზმის დასხივების, არამედ ლოკალური დასხივების სხივური თერაპიის დროსაც.



ა.



ბ.



გ.

გენეტიკური ცვლილებები: ა) ქრომოსომული აბერაციები, ბ) მიკრობირთვი ბუკალურ უჯრედში (დიცენტრული ქრომოსომები და აცენტრული ფრაგმენტები), გ) ლნმ-კომეტა

ამიტომ მიზანშეწონილია გენეტიკური მაჩვენებლების მონიტორინგი სხივური თერაპიის შედეგების პროგნოზირებისა და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის დაგეგმვისთვის.

სამუშაო შესრულებულია აესს მხარდაჭერით (პროექტი 7099/RO).

### ლიტერატურა

1. ანთელავა მ., გვიმრაძე ხ., ზედგინიძე ა. რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნე, 2006, 1 (24), 38-43.

2. Мельников А.И. Сибирский онкологический журнал, 2012, 4 (52).
3. Пелевина И. Радиэкология, 2009, 49, 4, 419-424.
4. Dörr W. Nuklearmedizin, 2010, 49, 1, S53-8.
5. Feinendegen L.E., Pollycove M., Neumann R.D. Exp. Hematol., 2007, 35, 37-46.
6. Hall E.J., Brenner D.J. British Journal of Radiology, 2008, 81, 362-378.
7. IAEA Cytogenetic Dosimetry, 2011, p.230.
8. Stich H.F., Stich W., Parida B.B. Cancer Lett., 1982, 17(2), 125- 134.
9. Tice R.R., Agurell E., Anderson D., Burlinson B., Hartmann A., Kobayashi H. Environ. Mol. Mutagen, 2000, 35, 206-21.
10. Wang W.D., Chen Z.T., Li D.Z. et al. Clin. Cancer Res., 2005, 15, 11(14), 5140-5.

## ГЕНЕТИЧЕСКИЕ НАРУШЕНИЯ ПРИ ЛОКАЛЬНОМ ОБЛУЧЕНИИ ПАЦИЕНТОВ

*А. Зедгинидзе<sup>1</sup>, Д. Ломидзе<sup>2</sup>, Э. Намчевадзе<sup>3</sup>, А. Капанадзе<sup>3</sup>, Т. Никурадзе<sup>1</sup>*

<sup>1</sup>Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия;  
<sup>2</sup>Департамент радиотерапии Университетской клиники ТГМУ; <sup>3</sup>Грузинская ассоциация физики здоровья, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Нами проведены пилотные исследования по изменению некоторых генетических показателей в процессе терапевтического облучения онкологических больных с опухолями в области шея-голова. 6 пациентов исследованы в динамике радиотерапии – до, в середине и по окончании радиотерапии. Облучение проведено на линейном ускорителе в режиме 2 Gy на фракцию при общей дозе 44-55 Gy при палиативной и 66 Gy – при радикальной терапии. Изучены хромосомные нарушения, повреждение ДНК методом комет и микроядра в эксфолиативных клетках из ротовой полости. Неоднородность уровня повреждений, коррелирующая с эффективностью течения после радиотерапии, подтверждает информативность исследованных биомаркеров и при локальном облучении. Эти данные обуславливают целесообразность учета генетических показателей для прогнозирования пострадиационных осложнений.

## GENETIC DISORDERS CAUSED BY LOCAL IRRADIATION OF PATIENTS

*A. Zedginidze<sup>1</sup>, D. Lomidze<sup>2</sup>, E. Namchevadze<sup>3</sup>, A. Kapanadze<sup>3</sup>, T. Nikuradze<sup>1</sup>*

<sup>1</sup>Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia; <sup>2</sup>Radiotherapy Department of the University Hospital of Tbilisi State Medical University; <sup>3</sup>Georgian Health Physics Association, Tbilisi

### SUMMARY

We have carried out pilot studies on changing certain genetic indicators in the process of radiation therapy of cancer patients with tumors in the head-neck area. 6 patients were investigated in the dynamics during radiotherapy – before, in the middle and at the end of radiotherapy. Irradiation was carried out on a linear accelerator mode 2 Gy per fraction for a total dose of 44-55 Gy with palliative and 66 Gy – in radical therapy. Chromosomal abnormalities, DNA damage by comet and micronucleus in exfoliated cells of the oral cavity have been investigated. The heterogeneity of the level of damage correlating with the efficiency of the flow after radiotherapy confirms the informativity of investigated biomarkers during local irradiation. The received data revealed the appropriateness of registering genetic parameters for predicting of post-radiation complications.

## ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენა Ca-ATPაზზე

ს. კუბრაძე, მ. ჯავახიშვილი

ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანებისა და მიკროსომების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზურ აქტიობაზე ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა: 1. ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორი არ მოქმედებს თეთრ ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანებისა და მიკროსომების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზზე; 2. დოზამინთან ერთად სინაფტოსომური ფაქტორის მოქმედებით იხსნება სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca-ATPაზის აქტივაცია ნეიროტრანსმიტერით და ფერმენტი მკვეთრად ინიჰიბირდება; 3. მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზურ აქტიობაზე დოზამინისა და სინაფტოსომური ფაქტორის ეფექტი არ გამოვლინდა.

საკვანძო სიტყვები: Ca, Mg-ATPაზა, ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორი, ნეიროტრანსმიტერები, დოზამინი

ცოცხალი მატერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და გადაცემა. ინფორმაციის გადაცემის მექანიზმის შესწავლისთვის აუცილებელია სინაფსში მიმდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესების დეტალური ცოდნა, რადგან სინაფსში მიმდინარე პროცესები არის ცენტრალური ნერვული სისტემის ინტეგრალური მოქმედების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ უკვე ცნობილია, მრავალი პრობლემა მაინც აუსხნელია ან არასაკმარისადაა შესწავლილი, რომელთა გადაწყვეტისთვის აუცილებელია სინაფსში მიმდინარე ცალკეული პროცესების სხვადასხვა მიმართულებით შესწავლა და მათი როლის განსაზღვრა სინაფსური გადაცემის რთული თანმიმდევრული პროცესების ჯაჭვში.

ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება Ca<sup>2+</sup>-ს და, შესაბამისად, მის ტრანსპორტულ სისტემებს. Ca<sup>2+</sup>-ის ტრანსპორტირებად ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისტემას წარმოადგენს Mg<sup>2+</sup>-დამოკიდებული Ca-ATPაზა. Ca-ATPაზური აქტიობა რეგულირებადია.

უჯრედში არსებობს ამ რეგულაციის განსაზღვრული სისტემები, რომელთა მოქმედების მოლეკულური მექანიზმი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Ca-ATP-ის რეგულაციის შესწავლა ნეიროტრანსმიტერებით, რადგან ნეიროტრანსმიტერები უშუალოდ მონაწილეობს სინაფსური გადაცემის პროცესში. ამავე საკითხთანაა დაკავშირებული სინაფსურ ციტოზოლში აღმოჩენილი ფაქტორების (SF) მოქმედება.

### კვლევის ობიექტი და მეთოდი

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინიდან საქაროზას სიმკვრივის გრადიენტში დიფერენცირებული ცენტრიფუგირებით მიღებული სინაფსური მემბრანების ფრაქცია [2, 7]. ცილის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ლოურის მეთოდით [5], ხოლო არაორგანული ფოსფორი – ჩვენს ლაბორატორიაში მოდიფიცირებული ფისკეს-სუბაროუსა და კახანოვი-მასლოვას მეთოდით [3, 4].

ATP-ის აქტიობაზე ვმსჯელობდით ფერმენტის მიერ ATP-ის დაშლით გამოყოფილი (მილიგრამ ცილაზე საათში) არაორგანული ფოსფორის რაოდენობით.

სინაფტოსომური ფაქტორი მიიღებოდა ნერვული დაბოლოებებით მდიდარი უხეში მიტოქონდრიული ფრაქციის ოსმოსური შოკის შემდეგ მიღებული ფრაქციის შემდგომი ცენტრიფუგირებით.

ცდების შედეგები ადეკვატურ სტატისტიკურ დამუშავებას ექვემდებარებოდა. სიდიდეებს შორის სხვაობის სტატისტიკური სარწმუნობის შეფასებისთვის  $p < 0.02$ , ხოლო ერთნაირობის სარწმუნობის შეფასებისთვის –  $p > 0.1$ . გამოიყენებოდა სტიუდენტის და ფიშერის კრიტერიუმები.

### შედეგები და მათი განხილვა

კარგადაა შესწავლილი ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის (SF) გავლენა Na,K-ATP-ისაზე. ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორი ინიჰიბირებს Na,K-ATP-ის (20-30%), ხოლო ნეიროტრანსმიტერებთან ერთად სარეაქციო არეში SF-ის შეტანისას იხსნება როგორც მისი უშუალო მოქმედებით, ასევე ნეიროტრანსმიტერებით გამოწვეული ინიჰიბიცია და ფერმენტი მკვეთრად აქტივდება [6]. არაფერია ცნობილი Ca-ATP-ისაზე ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენის შესახებ. ჩვენ დაავინტერესდით, როგორ მოქმედებს ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორი თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანებისა და მიკროსომების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATP-ისაზე.


აღმოჩნდა, რომ თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანებისა და მიკროსომების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATP-ის აქტიობაზე ციტოზოლურ სინაფტოსომურ ფაქტორს გავლენა არა აქვს ( $p > 0.1$ ).

**Ca-ATPაზური აქტიობის დამოკიდებულება ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის (SF) კონცენტრაციაზე**

[SF]	Ca-ATPაზა	
	სინაფსური მემბრანების ფრაქცია	მიკროსომული ფრაქცია
0	16.389 ± 0.825	20.425 ± 0.928
0.05 mM	16.537 ± 0.974	20.607 ± 0.697
0.1 mM	17.001 ± 1.326	19.889 ± 1.025
0.2 mM	15.907 ± 0.004	19.976 ± 1.125
0.3 mM	16.705 ± 1.096	20.038 ± 0.674

ჩვენ მიერ ნანახი იქნა, რომ დოფამინი (DA) ააქტივებს თეთრი ვირთავას თავის ტვინის სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზას [8]. დავინტერესდით, რა გავლენა აქვს Ca-ATPაზას ნეიროტრანსმიტერებით რეგულაციაზე ციტოზოლურ სინაფტოსომურ ფაქტორს (SF).

სურ. 1-ზე წარმოდგენილია სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზურ აქტიობაზე დოფამინის (DA), აგრეთვე, დოფამინისა და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის (SF) ერთდროული მოქმედების გავლენა. აღებული იყო დოფამინის ის კონცენტრაცია, რომლის დროს ადგილი აქვს Ca-ATPაზას მაქსიმალურ აქტივაციას.



სურ. 1. სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca-ATPაზურ აქტიობაზე დოფამინისა (DA) და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის (SF) გავლენა. 1 – კონტროლი: [DA]=0, [SF]=0; 2 – [DA]=0,05 mM, [SF]=0; 3 – [DA]=0,05 mM, [SF]=0,03 mg/ml

აღმოჩნდა, რომ DA ააქტივებს სინაფსური მემბრანების Ca-ATPაზას ( $p < 0.001$ ), ხოლო SF ხსნის ნეიროტრანსმიტერებით გამოწვეულ აქტივაციას და ფერმენტი მკვეთრად ინჰიბირდება ( $p < 0.001$ ).



მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca-ATPაზურ აქტიობაზე დოფამინისა და სინაფტოსომური ფაქტორის ეფექტი არ გამოქვამდა ( $p > 0.1$ ).

ცხრილი 2

დოფამინისა და ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორის გავლენა თეთრი ვირთაგვას მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზურ აქტიობაზე

მოქმედი ნივთიერება	Ca,Mg-ATPაზური აქტიობა
კონტროლი [DA]=0, [SF]=0	20.539 ± 0.208
[DA]=0,05 mM	19.988 ± 1.287
DA(0,05 mM) / SF(0,03 mg/ml)	20.553 ± 1.328

ამრიგად, ციტოზოლური სინაფტოსომური ფაქტორი არ მოქმედებს თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფტური მემბრანებისა და მიკროსომების ფრაქციაში ლოკალიზებულ Ca-ATPაზაზე, ხოლო დოფამინთან ერთად სინაფტოსომური ფაქტორის მოქმედებით ფერმენტი მკვეთრად ინიჰიბირდება.

## ლიტერატურა

1. *kupraZe s., javaxiSvili m.* saq. mec. akad. macne, biomed. seria, 2014, 3-4, t. 40, gv. 119-122.
2. *De Robertis E., Rodriguez de Lores, Armair G.* In: Handbook of Neurochemistry (Lagtha A. ed.), Plenum Press, New York, 1969, 2, pp.365-380.
3. *Fiske G., Subbarow Y.* J. Biol. Chem., 1925, 66, pp.375-400.
4. *Kazanov A., Maslova M.* Zhur. Evol. Biokh. Piziol., 1980, 16, 5, pp.81-87.
5. *Lowry O.H., Rosenbrogh N.J.* Biol. Chem., 1951, 193, pp.265-275.
6. *Tsakadze, Kometiani.* 1988, Biokhimia, 54, pp.1274-1279.
7. *Whittaker W.* In: Handbook of Neurochemistry (Lagtha A. ed.), Plenum Press, New York, 1962, 2, pp.327-364.

## **ВЛИЯНИЕ ЦИТОЗОЛЬНОГО СИНАПТОСОМАЛЬНОГО ФАКТОРА НА Ca-АТФазу**

*С. Купрадзе, М. Джавахишвили*

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, г. Тбилиси

### **РЕЗЮМЕ**

При изучении влияния цитозольного синапсосомального фактора (SF) на Ca-АТФ-азную активность, локализованную в синапсосомальных и микросомальных фракциях головного мозга белых крыс, обнаружилось: 1) цитозольный синапсосомальный фактор не влияет на Ca-АТФазу, локализованную в синапсосомальных и микросомальных мембранах головного мозга белых крыс; 2) при влиянии синапсосомального фактора вместе с дофамином, на Ca-АТФазу, локализованную в синапсосомальных мембранах, снижается активность, вызванная нейротрансмиттером и фермент резко ингибируется; 3) эффект дофамина и синапсосомального фактора на Ca-АТФазу, локализованную в микросомальных фракциях головного мозга белых крыс, не обнаружился.

## **THE EFFECT OF SYNAPTOSOMAL FACTOR ON Ca-ATPase**

*S. Kupradze, M. Javakhishvili*

Iv. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi

### **SUMMARY**

Study of the effect of the synaptosomal factor on the CaATPase activity, localized in the albino rat brain synapses and microsomal fractions has revealed: 1) synaptosomal factor does not affect CaATP-ase activity; 2) jointly with dophamin, synaptosomal factor inhibits Ca-ATPase activity, localized in synapses; 3) dophamin and synaptosomal factor do not have effect on Ca-ATPase activity localized in microsomal fraction.

## ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობათა გავრცელება ქალაქ თბილისში მცხოვრებ ორსულ ქალთა შორის

*ნ. მორჩილაძე, დ. მეტრეველი, ბ. ტყეშელაშვილი, დ. გაგუა,  
 თ. გაგუა, ნ. ლუკავა, მ. ხუციშვილი*

შპს “დავით გაგუას კლინიკა”, თსსუ, დავით ტვილდიანის სამედიცინო  
 უნივერსიტეტი

ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობათა გავრცელებისა და სიხშირის ზრდის გამო აღნიშნული პრობლემა მთელს მსოფლიოშია აქტუალური. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში საკმაოდ მაღალია თირეოპათიების ხვედრითი წილი როგორც დაავადებათა სტრუქტურაში ზოგადად, ისე ორსულთა შორის.

კვლევის მიზანი იყო თირეოპათიების სხვადასხვა ფორმების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა თბილისში მცხოვრებ ორსულ ქალთა შორის. კვლევა ჩატარდა შპს დავით გაგუას კლინიკაში. შესწავლილ იქნა ქ. თბილისში მცხოვრები 1500 ეთნიკურად ქართველი ორსული.

თირეოპათიის არსებობა დაუდგინდა 292-ს (19.5%). ტრანზიტორული ჰიპერთირეოზის წილი ორსულთა საერთო ჯგუფში აღმოჩნდა 0.5%, ხოლო თირეოპათიების ჯგუფში – 2.7%, დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი – 0.3-1.7%, შესაბამისად; მანიფესტირებული ჰიპოთირეოზი – 0.6-3%, ხოლო სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი – 7.5%-38.4%. იზოლირებული ჰიპოთირეოქსინემია დაუდგინდა 104 ორსულს, რაც საერთო ჯგუფში შეესაბამება 6.9%-ს, ხოლო თირეოპათიის ჯგუფში – 35.6%-ს; თირეოპეროქსიდაზას მიმართ ანტისხეულების მომატებული ტიტრი დაუდგინდა 54 ორსულს, მათ შორის საერთო ჯგუფში მანიფესტირებული ჰიპოთირეოზის წილი იყო 0.6%, ხოლო თირეოპათიების ჯგუფში – 3.1%, სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის წილი – 1.3 და 6.8%, ხოლო ეუთირეოზის შესაბამისი – 1.7%-8.6%. კვანძოვანი ჩიყვის დიაგნოზი დაუდგინდა 38 ორსულს (2.5%), ხოლო თირეოპათიის ჯგუფში – 13%-ს. ფარისებრი ჯირკვლის კიბო აღმოჩნდა სულ 2 შემთხვევაში.

სხვა ქვეყნების შესაბამის მონაცემებთან შედარებით, შესწავლილ პოპულაციაში აღინიშნება პირველად გამოვლენილი ჰიპოთირეოზის, იზოლირებული ჰიპოთირეოქსინემიისა და თირეოიდული პემოქსიდაზის მიმართ ანტისხეულების მომატებული ტიტრის გაცილებით მაღალი მაჩვენებლები.

ამის გამო, მიზანშეწონილია საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგისა და იოდით პროფილაქტიკის დაწყება პრეკონცეფციურ პერიოდში, თირეოპათიების სუბკლინიკური ფორმების დედასა და ნაყოფზე ნეგატიური ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად.

საკვანძო სიტყვები: ორსულობა, თირეოპათია, ეპიდემიოლოგია

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა შორის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იქცევა ყურადღებას ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობათა (თირეოპათიების) გავრცელების და სიხშირის მზარდი ხასიათი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იოდის ენდემური დეფიციტის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. არასათანადო სამედიცინო მართვის პირობებში ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობანი განსაკუთრებით მძიმე შედეგებით ხასიათდება ორსულებსა და მეძუპურ ქალებში [4, 9, 10, 17].

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2005-2006 წ. მონაცემებით [1], იმ დაავადებებიდან, რომლებიც ვითარდება ორსულობის პერიოდში და ართულებს ორსულობას და მშობიარობას, საკმაოდ მაღალია ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ხვედრითი წილი – 2118 შემთხვევა 10.000-ზე.

ეპიდემიოლოგიურ კვლევათა მონაცემებით, ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობათა შორის გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის გარეშე ან დისფუნქციით (ჰიპო- ან ჰიპერთირეოზით) მიმდინარე აუტოიმუნური და/ან იოდდეფიციტური თირეოპათიები, უფრო იშვიათად – ავთვისებიანი სიმსივნეები. ეს ავადმყოფობები შეიძლება მიმდინარეობდეს ფარისებრი ჯირკვლის ისეთი სტრუქტურული ცვლილებებით, როგორცაა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოპლაზია ან სხვადასხვა სახის (დიფუზური, კვანძოვანი, შერეული) ჩიყვები [2, 17, 18].

მრავალრიცხოვან ავტორთა მონაცემებით, ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობათა გავრცელება ორსულებში საშუალოდ 8.2%-ს შეადგენს [2, 7]. ჰიპოთირეოზი გვხვდება შემთხვევათა 2-3%-ში. R.Z. Klein, W.C.Allan et al. [14] მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევის (გამოკვლეულთა რაოდენობა – 9403) შედეგებით, სისხლში თირეოტროპული ჰორმონის მაღალი დონე (>6.0 მ.ს.კ/ლ) გამოუვლინდა 209 ორსულს (2.2%). ანალოგიური მონაცემები იქნა მიღებული D. Glinoeer-ისა და თანაავტორების მიერ [12], რომელთაც გამოიკვლიეს 2000 ორსული და TSH მაღალი დონე (>3.0-4.0 მ.ს.კ/ლ) დააფიქსირეს გამოკვლეულთა 2.5%-ში. ამავე ავტორთა მონაცემებით, ორსულობის დროს თირეოიდული პეროქსიდაზის მიმართ ანტისხეულების (AbTpo) მაღალი ტიტრი გვხვდება შემთხვევათა 10%-ში.

მრავალრიცხოვან კვლევათა შედეგების მიხედვით, ორსულებში ჰიპერთირეოზის გავრცელების მაჩვენებელი 0.3-0.5%-ს შეადგენს, დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი გვხვდება 0.05%-ში, ხოლო კვანძოვანი ჩიყვი – 4%-ში [7, 8, 10].

ლიტერატურის წყაროებში საკმაოდ განსხვავებულად არის შეფასებული ორსულებში იზოლირებული გესტაციური ჰიპოთირეოქსინემიის პრობლემა, რაც დამატებითი გადრმავებული კვლევების აუცილებლობას განაპირობებს. ავტორთა მონაცემებით, იზოლირებული გესტაციური ჰიპოთირეოქსინემიის გავრცელება 1.3-3.2%-ს შეადგენს [9, 13, 19].

ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის შეცვლა როგორც ჰიპო-, ისე ჰიპერფუნქციის მიმართულებით ხასიათდება ორსულობის

გართულებათა მაღალი სიხშირით. რიგ ავტორთა მონაცემებით, ორსულთა პოპულაციაში ორსულობის დრომდე მიუტანლობა საშუალოდ აღინიშნება 23.6%-ში, მათ შორის ნაადრევი მშობიარობა - 18.2%-ში, ხოლო პრეკლამფიცია - 54.5%-ში, ნაყოფისთვის არაკეთილსაიმედო გამოსავალი - 22.7%-ში, ხოლო სამშობიარო მოქმედების დისტოცია - 35.2%-ში [5, 9, 15].

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ფრიად აქტუალურია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა საერთოდ და კერძოდ საქართველოში. ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, რომ შესრულებულ შრომათა უმრავლესობა ეძღვნება ორსულობის დროს ჰიპოთირეოზისა და თირეოტოქსიკოზის პრობლემებს. შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი თირეოპათიების სხვა ფორმების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ორსულთა პოპულაციაში მსგავსი ტიპის ეპიდემიოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა სხვადასხვა თირეოიდულ პათოლოგიათა გავრცელება ქალაქ თბილისის ორსულ ქალთა შორის. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გამოკვლევით მიღებული ინფორმაცია ნაწილობრივ მაინც შეაგებს ჩვენს სინამდვილეში არსებულ ინფორმაციულ დეფიციტს დასახელებულ პრობლემის ირგვლივ.

## მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა შპს „დავით გაგუას კლინიკაში“. ამბულატორიული პოპულაციის ფორმირება განხორციელდა მომართვიანობის საფუძველზე. შესწავლილ იქნა ქ. თბილისში მცხოვრები 1500 ეთნიკურად ქართველი ორსული. პაციენტების კვლევის მეთოდით მოიცავდა ანამნეზის შეკრებას, კლინიკური და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების ჩატარებას.

კვლევის პროცესში გამოყენებული ეპიდემიოლოგიური კვლევის კითხვარი მოიცავდა რეტროსპექტულ ანამნეზურ მონაცემებს, დემოგრაფიულ მახვენებლებს, პრემორბიდულ ფონს, მემკვიდრულ დატვირთვას, სოციალურ ფაქტორებს, კლინიკური და პარაკლინიკური კვლევის მონაცემებს, დინამიკური დაკვირვების შედეგებს და სხვ.

### კვლევაში ჩართვის ძირითადი კრიტერიუმები იყო:

1. რეპროდუქციული ასაკი 16-44 წლამდე
2. ორსულობის I ტრიმესტრი
3. ორსულის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე.

თირეოიდული სტატუსის სკრინინგული კვლევა მოიცავდა თირეოტროპული ჰორმონის (TSH), თავისუფალი თიროქსინისა (FT4) და თირეოიდული პეროქსიდაზის მიმართ ანტისხეულების (AbTpo) განსაზღვრას იმუნოფერმენტული მეთოდით და ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით კვლევას (გადამწოდის სიხშირე 7.5 მეგაჰერცი). თირეოიდული პათოლოგიის დიაგ-

Marker	Erythematous form (n = 12)	Papulopustular form (n = 11)	p between groups
CD4	1.42 ± 0.15	1.91 ± 0.09	p = 0.015
CD1a	0.75 ± 0.13	1.27 ± 0.19	p = 0.038
CD68	1.00 ± 0.17	1.64 ± 0.15	p = 0.016
CD34	2.00 ± 0.25	2.64 ± 0.15	p = 0.061
α-SMA	1.25 ± 0.13	1.82 ± 0.18	p = 0.021
CD105	0.83 ± 0.11	1.55 ± 0.28	p = 0.026
CD138	0.58 ± 0.15	0.91 ± 0.25	p = 0.344
MMP-1	0.25 ± 0.13	0.64 ± 0.15	p = 0.068
MMP-9	2.58 ± 0.15	2.91 ± 0.09	p = 0.082
VEGF	1.83 ± 0.21	1.64 ± 0.15	p = 0.530
S100	1.33 ± 0.14	1.73 ± 0.14	p = 0.065
Ki-67 (y %)	11.41 ± 0.21	23.42 ± 0.87	p < 0.001

Note: p – significance level of difference between groups by Mann-Whitney test

The patients of the 1st main group were treated with the proposed scheme: flebodya – 600 l tablet twice a day for 1 month. Taking into consideration the important role of the autonomic innervation of vessels in the pathogenesis of rosacea, the patients were administered sulpiride, which governed the state of the autonomic nervous system, internally in a dose of 100 mg twice daily (morning and lunch) for 4 weeks, the local administration of 15% azelaic acid gel overnight, 8 weeks. Also 1% pimecrolimus cream was applied as a remedy to suppress VEGF the first 8 weeks once a day, in the morning, from 9 to 16 weeks – twice a day.

For the patients of the 3rd basic group the following treatment was prescribed: doxycycline 100 mg twice a day for 2 weeks was applied orally, sulpiride – 100 mg twice a day (morning and lunch) for 4 weeks, locally – combined remedy in the form of a gel, which is a part of adapalene clindamycin phosphate, twice a day for 4 weeks from the 5th to 8th week – at night, once a day. Also with a 5-week combined therapy 1% pimecrolimus cream was added – the first 4 weeks (5-8) – in the morning, then – twice a day to 16 weeks.

As it is known, a pronounced positive therapeutic effect on the strong promoter of angiogenesis VEGF has the drug ademetionin (prescribed internally). Taking into account

the pathogenic role of VEGF in the development of all forms of rosacea, it is suggested the inclusion of this drug in the complex therapy of patients of the 1st and 3rd groups of observations at a dose of 400 mg (1 tablet) 1 per day for 4 weeks.

During the treatment all our patients also received guidelines for skin care. As known from practical experience, the patients with rosacea complain of the difficulty in selecting the products for skin care due to the fact that such products irritate the skin and increase discomfort. That's why some patients said that for a long time they were not able to select a remedy for skin care that would satisfy their needs. We have recommended the use of micellar water Bioderma Sensibio H<sub>2</sub>O, which is designed specifically for the daily care of sensitive skin. The remedy contains micelles which effectively clean the skin and maintain its balance. The product does not contain fragrance, alcohol and phenoxyethanol. Micellar water was applied on a cotton swab and was used to clean thoroughly the face and the skin around the eyes. Bioderma Sensibio H<sub>2</sub>O was recommended to use daily (morning and evening).

After the treatment our patients were offered to use Censybyo AR/AR VV cream once a day on cleaned skin. This cosmetic was chosen due to its properties: strengthens the barrier function of the skin, moisturizes, restructures, relieves discomfort and heartburn feelings, reduces redness, masks the defects using optical particles, protects against UV rays. In addition, the innovative texture of Sensybyo ARBB cream adapts in contact with skin and allows the skin to breathe.

If necessary, the patients depending on the type of sebaceous excretions were recommended to use Censybyo Forte/Light once a day. During insolation the patients used a specific photo protection Fotoderm AR.

It should be noted that in winter according to medical history 8 patients had the temporary exacerbation of seborrheic dermatitis. Therefore, these patients were offered to use Cream Sensybyo DS for seborrheic areas as a prophylactic drug for the period from November to March every year.

In addition, our patients were able to use soothing mask (Bioderma Sensibio Mask) at home.

When comparing clinical treatment outcomes in the basic and control groups of patients with the different forms of rosacea there were received some significant differences: for erythematous form  $p < 0.01$ ; for papulopustular –  $p \leq 0.05$  (Table 2).

The average index before treatment for the 1st group (erythematous rosacea) was  $21.4 \pm 2.3$ ; in the control group (2nd group) –  $22.0 \pm 1.8$  ( $t = 0.192$ ;  $p = 0.848$ ). In the third group (papulopustular rosacea) average index was  $22.3 \pm 2.1$ ; in the 4<sup>th</sup> – control group –  $21.7 \pm 1.9$  ( $t = 0.186$ ;  $p = 0.853$ ). That means that statistically significant differences between the indices in all four groups were not observed before the treatment. In patients with rosacea high enough indices indicated a decline in the quality of life of patients and the presence of serious psychological problems that provoked cutaneous disease process.

After treatment by the proposed techniques it was noted a marked reduction of index that showed a significant decline in the 1st and 3rd groups, and was  $4.9 \pm 0.8$  and  $4.3 \pm 0.7$  ( $p < 0.001$ ), respectively. Such dynamics of indices was in full compliance with the regression or improvement in clinical indicators and indicative of distinct improvements in the quality of life of patients. The indices also decreased in the II and IV

control groups, but were statistically higher than in the basic groups, the second group –  $7.3 \pm 0.9$  ( $t = 2.07$ ;  $p = 0.044$ , as compared to the first group) and group IV –  $6.8 \pm 0.9$  ( $t = 2.18$ ;  $p = 0.033$  as compared to the III group).

Table 2

**Clinical results of treatment of rosacea patients by the forms and groups obtained after 16 weeks of treatment (abs. H., %)**

Clinical form	Group	Number of patients	Clinical recovery	Significant improvement	Improvement	Without effect
Erythematous	Basic (1a)	30 (100 %)	24 (80.0 %)	5 (16.7 %)	1 (3.3 %)	-
	Control (2a)	20 (100 %)	8 (40.0 %)	5 (25.0 %)	6 (30.0 %)	1 (5.0 %)
p between groups		$\chi^2 = 10.9$ ; $p = 0.004$				
Papulopustular	Basic (3a)	40 (100 %)	32 (80.0 %)	5 (12.5 %)	3 (7.5 %)	-
	Control (4a)	20 (100 %)	11 (55.0 %)	3 (15.0 %)	4 (20.0 %)	2 (10.0 %)
p between groups		$\chi^2 = 5.7$ ; $p = 0.05$				
Total		110 (100 %)	75 (68.2 %)	18 (16.4 %)	14 (12.7 %)	3 (2.7 %)

After the treatment of erythematous form by the proposed scheme it was observed a significant reduction of the infiltration, reduction of the number of CD4<sup>+</sup> cells in them and in the number of T-helper cells, which were located singly. The localization and number of cells that were positive for  $\alpha$ SMA and CD34 changed a little in the structure of vessels and glands, but their number in dermis decreased slightly, indicating the inhibition of myofibroblastic transformation and positive effect of treatment on the development of fibrosis. Most notable were changes in the number of cells MMP-1 and MMP-9 in subepidermal layer of skin – the area that suffered most from fibrotic changes. The reduction of dermis blood vessels diameter observed after the treatment was partly due to a decrease of VEGF<sup>+</sup> cells, especially in the composition of infiltrates and dermal fibroblasts. A significant decrease in proliferative activity of epidermis cells was found estimated by the number of Ki-67 from  $11.41 \pm 1.10\%$  to  $7.02 \pm 1.91\%$  ( $p < 0.05$ ). At the same time, we found no change in the number Vcl-2<sup>+</sup> cells, and S-100<sup>+</sup> cells were less numerous in the dermis and papulopustular areas.

In applying the standard treatment scheme in the patients with erythematous form of rosacea the severity of positive changes in T-helper cells was reduced, and the reduction of infiltration was noted. The number of immune cells of other types was almost unchanged. The number of VEGF<sup>+</sup>, Ki-67<sup>+</sup> Vcl-2<sup>+</sup> and S-100<sup>+</sup> cells changed not essentially. In particular, the percentage of Ki-67<sup>+</sup> cells decreased from  $11.41 \pm 1.10\%$  to  $10.01 \pm 1.02\%$  ( $p > 0.05$ ).

Thus, with the use of a new treatment scheme, the distinct dynamics of IHC indices was noted at erythematous form. The effect of treatment on immune link was confirmed by a significant reduction of CD4<sup>+</sup> cells, relative to the control, as well as changes in the

number of CD1a<sup>+</sup>, CD138<sup>+</sup>, CD68<sup>+</sup> and Ki-67<sup>+</sup> cells. The effect of treatment on the vascular component was confirmed with a decrease in the density of blood vessels in parallel with the reduction of VEGF expression. The control group demonstrated the absence of this effect.

After the treatment of pustular rosacea form by the proposed scheme the significantly better results in relation to the immune level were received, such as T-helper cells and macrophages, when compared with the control. The improvement of extracellular matrix was determined with the significant reduction of metalloprotease activity and proliferative activity of epidermal cells (Ki-67) decreased from 23.42 ± 187% to 9.04 ± 1.12% (p < 0.001). Significantly greater effect was also achieved with respect to the number of nerve endings.

The analysis of long-term results of treatment of patients with rosacea (after 1 year) showed that the patients of the 1st and 3rd groups were treated according to the proposed methods, relapses occurred 2-2.7 times less than in the control group (p < 0.05) (Table 3).

Table 3

**Long-term results of observations of patients suffering from various forms of rosacea**

Result	1 group (n = 24)	2 group (n = 17)	3 group (n = 31)	4 group (n = 15)
Recurrence	9 (37.5 %)	13 (76.5 %)	6 (19.4 %)	8 (53.3 %)
Absence of recurrence	15 (62.5 %)	4 (23.5 %)	25 (80.6 %)	7 (46.7 %)
p between groups	$\chi^2 = 6.1$ ; p = 0.014		$\chi^2 = 5.5$ ; p = 0.019	

Analyzing the complaints of patients and objective investigation data of local status, it can be argued that the severity of the exacerbation and the area of lesions were also differed in the patients of the 1st, 3<sup>rd</sup>, 2nd and 4th groups. In addition, after this treatment the existing symptoms eliminated much faster and required a shorter course of therapy for patients of the 1st, 3rd groups compared with patients of the 2nd and 4th groups.

It should be noted that the tolerance of the treatment was satisfactory. We have not registered systemic side effects. The conducted investigation of urine, clinical and biochemical blood tests did not reveal any deviation from the normal or original values. However, it was recorded the complaints on irritating effect at the beginning (3-7 days) of gel use, based on 15% azelaic acid in 5 patients (16.7%) of the 1st and 4 group patients (20.0%) of the 2nd groups (p > 0.70 between groups). One should bear witness an extremely high adherence of patients to the treatment which can be explained by the high motivation of patients with end result against long and complicated medical history.

Thus, the application of the proposed methods is effective, safe, has a positive pharmacoeconomics and allows to achieve sustained long-term remission in 62.5% of patients with erythematic form of rosacea and 80.6% of patients with papulopustular form of rosacea.

## REFERENCES

1. Потекаев Н.Н., Аравийская Е.Р., Соколовский Е.В. и др. Акне и розацеа (под ред. Н.Н. Потекаева). М.: БИНОМ, 2007, 213 с.
2. Parodi A., Drago F., Paolino S. et al. Ann. Dermatol. Venereol., 2011, 138, Suppl. 3, 211-214.
3. Webster G.F. J. Ital. Dermatol. Venereol., 2011, 146, N3, 235-241.

## როზაცეა: კომპლექსური თერაპია და რეაბილიტაციის რეაბილიტაცია

ტ. სვიატენკო<sup>1</sup>, თ. ხარიტონოვა<sup>2</sup>, თ. სტაროსტინა<sup>3</sup>

<sup>1</sup> დნეპროპეტროვსკის სამედიცინო აკადემია, უკრაინა; <sup>2</sup> დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო კოსმეტოლოგიური კლინიკა; <sup>3</sup> სამედიცინო ცენტრი "Lenomed", დნეპროპეტროვსკი

### რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება როზაცეათი დაავადებული ავადმყოფების კომპლექსური დიფერენცირებული მკურნალობის ეფექტურობის ამაღლების საკითხებს. ამ ავადმყოფებს უტარდებოდათ ანამნეზურ-კლინიკური თავისებურებების და დერმატოზის იმუნომორფოგენეზის კვლევა დინამიკაში, მკურნალობა სისხლძარღვების ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორის ინჰიბიტორების გამოყენებით (VEGF). გამოკვლეულია 110 მამაკაცი როზაცეას ერთმატოზული და პაპულო-პუსტულური სტადიებით. განისაზღვრა დაავადების კლინიკურ-მორფოლოგიური და იმუნურ-პისტოქიმიური თავისებურებანი პაციენტის ასაკის, კანის ტიპის და კლინიკური სტადიის გათვალისწინებით. შემოთავაზებულია როზაცეას პათოგენეტიკური თერაპიის ახალი კომპლექსი დაავადების კლინიკური ფორმის მიხედვით, დადასტურებულია მისი ეფექტურობა ტრადიციულ თერაპიულ მეთოდებთან შედარებით.

## РОЗАЦЕА: КОМПЛЕКСНАЯ ТЕРАПИЯ И РЕАБИЛИТАЦИЯ ПАЦИЕНТОВ

Т. Святенко<sup>1</sup>, О. Харитонов<sup>2</sup>, О. Старостина<sup>3</sup>

<sup>1</sup> Днепропетровская медицинская Академия, Украина; <sup>2</sup> Днепропетровская государственная косметологическая клиника; <sup>3</sup> Медицинский центр "Lenomed", Днепропетровск

### РЕЗЮМЕ

Работа посвящена вопросам повышения эффективности комплексной дифференцированной терапии больных розацеа на основании углубленного исследования анамnestических и клинических особенностей, иммуноморфогенеза дерматоза в динамике, лечения с применением ингибиторов фактора роста эндотелия сосудов (VEGF). Обследованы 110

мужчин с эритематозной и папуло-пустулезной стадиями розацеа. Были определены особенности клинико-морфологической и иммуно-гистохимической картины заболевания в зависимости от возраста пациента, типа кожи, клинической стадии. Предложен новый комплекс патогенетической терапии розацеа в зависимости от клинической формы заболевания, была доказана его эффективность по сравнению с традиционными терапевтическими методами.

## პორელაციები ოპერაციის გართულებებსა და პაციენტის ინციდენტურ მახასიათებლებს შორის ბარძაყის კვლის ტრანსცერმიკალური მოტეხილობის V-მაგვარი ფიქსატორით იმპლანტაციის დროს

ა. ტყეშელაშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი (სდასუ), თბილისი

კვლევის მიზანია კორელაციების დადგენა ოპერაციის შედეგებსა და პაციენტის ინციდენტურ მახასიათებლებს შორის.

მასალა და მეთოდები. სამუშაოს საფუძვლად დაედო ბარძაყის ძვლის ტრანსცერმიკალური მოტეხილობის მქონე 20-დან 80 წლამდე ასაკის 100 პაციენტის მკურნალობის შედეგები ჩვენ მიერ შემუშავებული V-მაგვარი ფიქსატორით. შედეგები შეფასდა პარისის სკალის გამოყენებით. კორელაციური ანალიზი ჩატარდა სპარმენის (Spearman) რანგული კორელაციის საშუალებით.

შედეგები და განხილვა. არადაზარალებული შედეგი პარისის მიხედვით სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს  $> 75$  წწ. ასაკთან  $r = 0.406$ ,  $p = 0.000$ ; გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიასთან  $r = 0.387$ ,  $p = 0.000$ ; ენდოკრინულ პათოლოგიასთან  $r = 0.484$ ,  $p = 0.000$ ; მენტალურ დარღვევებთან  $r = 0.490$ ,  $p = 0.000$ . დაგვიანებულ კონსოლიდაციასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს  $> 75$  წწ. ასაკი  $r = 0.522$ ,  $p = 0.000$ ; IV სტადია Gardens-ის კლასიფიკაციით  $r = 0.218$ ,  $p = 0.029$ ; გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია  $r = 0.390$ ,  $p = 0.000$ ; მენტალური დარღვევები  $r = 0.429$ ;  $p = 0.000$ ; მიოფასციალური ტკივილის სინდრომი  $r = 0.272$ ;  $p = 0.006$ ;

გართულებები დაკავშირებულია ძირითადად  $> 75$  წწ. ასაკთან, სომატურ დაავადებებთან და მოტეხილობის IV სტადიასთან Gardens-ის კლასიფიკაციით.

საკვანძო სიტყვები: კორელაცია, V-მაგვარი ფიქსატორი, ოპერაციის შედეგები და გართულებები, ინციდენტური მახასიათებლები

ბარძაყის ყელის მოტეხილობა დღემდე ასაკოვანთა შორის ინვალიდობისა და ლეტალობის ერთ-ერთ წამყვან მიზეზად რჩება [3, 7], რაც გარკვეულწილად განპირობებულია ავადმყოფის ინციდენტურ მახასიათებლებით, როგორებიცაა – პაციენტის ასაკი; თანმხლები დაავადების არსებობა; მოტეხილობის ლოკალიზაცია; ოსტეოპოროზის გამოვლენის ხარისხი და სხვ. [1, 2, 4, 5, 8].

კვლევის მიზანია კორელაციების დადგენა ოპერაციის შედეგებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის.

### მასალა და მეთოდები

სამუშაოს საფუძვლად დაედო ბარძაყის ძვლის ტრანსცერვიკალური მოტეხილობის მქონე 20-დან 80 წლამდე ასაკის 100 პაციენტის მკურნალობის შედეგები ჩვენ მიერ შემუშავებული V-მაგვარი ფიქსატორით შპს-დან "ტრავმატოლოგის კონტინგენტი".

**ჩართვის კრიტერიუმები:** ბარძაყის ძვლის ტრანსცერვიკალური მოტეხილობა.

**გამორიცხვის კრიტერიუმები:** მძიმე სისტემური და მენტალური დაავადებები. ოპერაციის აბსოლუტური უკუჩვენება.

გამოკვლევის მეთოდები - ანამნეზი, გასინჯვა, რენტგენოგრაფია, ბიოქიმიური, კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევა.

**შედეგების შეფასება** ჩატარდა კიდურის ფუნქციური შესაძლებლობების მიხედვით ჰარისის სკალის გამოყენებით. კორელაციური ანალიზი ჩატარდა სპირმენის (Spearman) რანგული კორელაციის საშუალებით. შედეგები ითვლებოდა სარწმუნოდ, როცა  $p < 0.05$

მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 22-ის გამოყენებით

### შედეგები და განხილვა

ჩატარებული ოპერაციული ჩარევის დროს დაფიქსირდა შემდეგი გართულებები: დაგვიანებული კონსოლიდაცია - 10, შეუხორცებელი მოტეხილობა - 2, ბარძაყის თავის ავასკულარული ნეკროზი - 6, ფრაგმენტების მეორადი ცდომა - 2, წვივის ღრმა ვენების თრომბოზი - 2, მოფასციალური ტკივილის სინდრომი - 4, გავრცელებული ნეიროდისტროფიული სინდრომი - 1 (დიაგრამა 1).


გართულებებს შორის პრევალირებდა დაგვიანებული კონსოლიდაცია. ფუნქციური შედეგები ჰარისის სკალის მიხედვით შემდგენილია: ძალიან კარგი - 78, კარგი - 11, დამაკმაყოფილებელი - 9, არადამაკმაყოფილებელი - 2.

კორელაციურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოპერაციის შემდგომი ძლიერი ტკივილი სარწმუნოდ დადებით კორელაციას ამჟღავნებს 75 წელზე მეტ ასაკთან:  $r = 0.313$ ,  $p = 0.002$ ; მოტეხილობის IV სტადიასთან Gardens-ის კლასიფიკაციით -  $r = 0.243$ ,  $p = 0.015$  და სასუნთქი სისტემის დაავადებებთან -  $r = 0.202$ ;  $p = 0.043$ .

ძალიან კარგი შედეგი ჰარისის მიხედვით სარწმუნოდ დადებით კორელაციას ამჟღავნებს 20-51 წწ. ასაკთან -  $r = 0.257$ ;  $p = 0.010$ ; უარყოფითს -  $> 75$  წწ. ასაკთან -  $r = -0.508$ ,  $p = 0.000$ ; IV სტადიასთან Gardens-ის კლასიფიკაციით -  $r = -0.0295$ ;  $p = 0.003$ ; გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიასთან  $r = -0.472$ ; მენტალურ დარღვევებთან -  $r = -0.269$ ;  $p = 0.007$ .



გართულებების სიხშირე ბარძაყის ძვლის ტრანსკრეუკალური მოტეხილობის დროს(%)



არაღამაკმაყოფილებელი შედეგი ჰარისის მიხედვით - დადებითს > 75 წწ. ასაკთან  $r = 0.406$ ,  $p = 0.000$ ; გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიასთან -  $r = 0.387$ ,  $p = 0.000$ ; ენდოკრინულ პათოლოგიასთან -  $r = 0.484$ ,  $p = 0.000$ ; მენტალურ დარღვევებთან -  $r = 0.490$ ,  $p = 0.000$ , უარყოფითს - 51-75 წწ. ასაკთან -  $r = -0.208$ ,  $p = 0.038$ .

პნევმონიასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს - ჭარბი წონა -  $r = 0.230$ ,  $p = 0.021$ , IV სტადია Gardens-ის კლასიფიკაციით -  $r = 0.132$ ,  $p = 0.230$ , სასუნთქი სისტემის დაავადებები -  $r = 0.938$ ,  $p = 0.000$  - ენდოკრინული პათოლოგია -  $r = 0.341$ ,  $p = 0.001$ .

დაგვიანებულ კონსოლიდაციასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს - > 75 წწ. ასაკის შემთხვევაში -  $r = 0.522$ ,  $p = 0.000$ ; IV სტადიასთან Gardens-ის კლასიფიკაციით -  $r = 0.218$ ,  $p = 0.029$ ; გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიასთან -  $r = 0.390$ ,  $p = .000$ ; მენტალური დარღვევებთან -  $r = 0.429$ ;  $p = 0.000$ ; მიოფასციალური ტკივილის სინდრომთან -  $r = 0.272$ ;  $p = 0.006$ ; უარყოფითს - 51-75 წწ. ასაკთან -  $r = -0.272$ ,  $p = 0.006$ ; I ტიპი Pauwels-ის მიხედვით -  $r = -0.198$ ,  $p = 0.048$ .

შეუხორცველ მოტეხილობასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ენდოკრინული პათოლოგია -  $r = 0.221$ ,  $p = 0.027$ ; ბარძაყის თავის ავასკულარულ ნეკროზთან დადებითს - > 75 წწ. ასაკი -  $r = 0.584$ ,  $p = 0.000$ ; IV სტადია Gardens-ის კლასიფიკაციით -  $r = 0.349$ ,  $p = 0.000$ ; გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია -  $r = 0.425$ ;  $p = 0.000$ ; ენდოკრინული პათოლოგია -  $r = 0.236$ ,  $p = 0.018$ ; მენტალური დარღვევები -  $r = 0.565$ ,  $p = 0.000$ ;

მიოფასციალური ტკივილის სინდრომი -  $r=0.163$ ,  $p=0.104$ ; უარყოფითს -  $51-75$  წწ. ასაკი -  $r=-0.368$ ,  $p=0.000$ ; I ტიპი Pauwels-ის მიხედვით -  $r=-0.202$ ,  $p=0.044$ .

წვივის ღრმა ვენების თრომბოზთან დადებით კორელაციას ამჟღავნებს - გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია -  $r=0.387$ ,  $p=0.000$ ; მიოფასციალური ტკივილის სინდრომი -  $r=0.335$ ,  $p=0.001$ ; ფრაგმენტების მეორადი ცდომა -  $>75$  წწ. ასაკი -  $r=0.406$ ;  $p=0.000$ , IV სტადია Gardens-ის კლასიფიკაციით -  $r=0.327$ ,  $p=0.001$ ; ქრონიკული ინფექციები -  $r=0.205$ , ენდოკრინული პათოლოგია -  $r=0.221$ ,  $p=0.027$ ; მენტალური დარღვევები -  $r=1.0$ ; უარყოფითს -  $51-75$  წწ. ასაკი -  $r=-0.208$ ,  $p=0.038$ .

ამრიგად, გართულებები ძირითადად დაკავშირებულია  $>75$  წწ. ასაკთან, სომატურ დაავადებებთან და მოტეხილობის IV სტადიასთან Gardens-ის კლასიფიკაციით.

კორელაციური კავშირი შედეგებსა და გართულებებს შორის შემდეგია: დაგვიანებულ კონსოლიდაციასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ჩვენი შედეგები - პაციენტი დადის კოჭლობით ტკივილის გამო, დამატებითი საყრდენის გარეშე -  $r=0.270$ ,  $p=0.007$ ; პაციენტი დადის კოჭლობით ტკივილის გამო, ჯოხის გამოყენებით -  $r=0.272$ ,  $p=0.006$ ; პაციენტი დადის ყავარჯნებით ტკივილის გამო -  $r=0.332$ ,  $p=0.001$ ; საშუალო ტკივილი -  $r=0.272$ ,  $p=.006$ ; დამაკმაყოფილებელი შედეგი პარისის მიხედვით -  $r=0.361$ ,  $p=0.000$ ; უარყოფითს - მსუბუქი ტკივილი -  $r=-0.270$ ,  $p=0.007$ ; ძალიან კარგი -  $r=-0.628$ ,  $p=0.000$ ; კარგი -  $r=-0.415$ ,  $p=0.000$ ; პაციენტი დადის კოჭლობის გარეშე, ქვემო კიდურების ფუნქცია სრულიად აღდგენილია -  $r=-0.483$ ,  $p=0.000$ .

შეუხორცებელ მოტეხილობასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი შედეგები - ძლიერი ტკივილი -  $r=0.812$ ,  $p=0.000$ ; არადა-მაკმაყოფილებელი შედეგი პარისის მიხედვით -  $r=0.490$ ,  $p=0.000$ ; უარყოფითს - პაციენტი დადის კოჭლობის გარეშე, ქვემო კიდურების ფუნქცია სრულიად აღდგენილია -  $r=-0.277$ ,  $p=0.005$ , ძალიან კარგი -  $r=-0.269$ ,  $p=0.007$ .

ბარძაყის თავის ავასკულარულ ნეკროზთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი შედეგები: პაციენტი დადის კოჭლობით ტკივილის გამო, ჯოხის გამოყენებით -  $r=0.378$ ,  $p=0.000$ ; პაციენტი დადის ყავარჯნებით ტკივილის გამო -  $r=0.202$ ,  $p=0.043$ ; პაციენტი სარგებლობს ინვალიდის ეტლით -  $r=0.265$ ,  $p=0.008$ ; ძლიერი ტკივილი -  $r=0.449$ ,  $p=0.000$ ; საშუალო -  $r=0.378$ ,  $p=0.000$ ; არადა-მაკმაყოფილებელი -  $r=0.565$ ,  $p=0.000$ ; დაგვიანებული კონსოლიდაცია -  $r=0.477$ ,  $p=0.000$ ; შეუხორცებელი მოტეხილობა -  $r=0.265$ ,  $p=0.008$ . დამაკმაყოფილებელი შედეგი პარისის მიხედვით -  $r=0.362$ ,  $p=0.000$ ; უარყოფითს - პაციენტი დადის კოჭლობის გარეშე, ქვემო კიდურების ფუნქცია სრულიად აღდგენილია -  $r=0.490$ ,  $p=0.000$ ; მსუბუქი ტკივილი -  $r=-0.075$ ,  $p=0.461$ ; ძალიან კარგი შედეგი -  $r=-0.476$ ,  $p=0.000$ ; კარგი შედეგი პარისის მიხედვით  $r=-0.046$ ,  $p=0.651$ .

წვივის ღრმა ვენების თრომბოზთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს შემდეგი შედეგები – პაციენტი დადის კოჭლობით ტკივილის გამო, დამატებითი საყრდენის გარეშე –  $r = 0.484$ ,  $p = 0.000$ ; პაციენტი დადის ყავარჯნებით ტკივილის გამო –  $r = 0.394$ ,  $p = 0.000$ ; საშუალო –  $r = 0.335$ ,  $p = 0.001$ ; მსუბუქი –  $r = 0.221$ ,  $p = 0.027$ ; უარყოფითს – ძალიან კარგი –  $r = -0.269$ ,  $p = 0.007$ ; დამაკმაყოფილებელი –  $r = 0.406$ ,  $p = 0.000$ .

ურაგმენტების მეორად ცდომასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს: არადამაკმაყოფილებელი შედეგი ჰარისის მიხედვით –  $r = 0.490$ ,  $p = 0.000$ ; დაგვიანებული კონსოლიდაცია –  $r = 0.429$ ,  $p = 0.000$ ; ბარძაყის თავის ავასკულარული ნეკროზი –  $r = 0.565$ ,  $p = 0.000$ . უარყოფითს – პაციენტი დადის კოჭლობის გარეშე, ქვემო კიდურების ფუნქცია სრულიად აღდგენილია  $r = -0.277$ ,  $p = 0.005$ ; ძალიან კარგი შედეგი ჰარისის მიხედვით –  $r = -0.269$ ,  $p = 0.007$ ; როგორც ვხედავთ, ჰარისის მიხედვით გართულებებთან დაკავშირებული არადამაკმაყოფილებელი შედეგები და ოპერაციის შემდგომი ტკივილი.

კორელაციური კავშირის ცოდნა გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის ხელს შეუწყობს გართულებების პრედიქტორების თავიდან აცილებას.

## ლიტერატურა

1. *Пешехонов Э.В., Галин В.И., Зудилин А.В., Денисов К.К.* Воен.-мед. журн., 2007, 1, 67.
2. *Рагозин А.О.* Кремлевск. мед., 2001, 1, 68-71.
3. *Haleem S., Lutchman L., Mayahi R., Grice J.E., Parker M.J.* Injury. 2008;39:1157-1163.
4. *Marks R.* International Journal of General Medicine, 2010, 3, 1-17.
5. *Nieves J.W., Bilezikian J.P., Lane J.M., et al.* Osteoporos Int., 2009, May 30.
6. *Orosz G.M., Hannan E.L., Magaziner P.J.* J. Am. Geriatr. Soc., 2002, 50, 1336-1340.
7. *Parker M., Johansen A.* Hip fracture. BMJ, 2006, 333, 27-30.
8. *Wehren L.E., Magaziner J.* Curr. Osteoporos. Reports., 2003, 1, 78-85.

## КОРРЕЛЯЦИИ МЕЖДУ ИНИЦИАЛЬНЫМИ ФАКТОРАМИ ПАЦИЕНТА ПРИ ТРАНСЦЕРВИКАЛЬНОМ ПЕРЕЛОМЕ И ОСЛОЖНЕНИЯМИ ОПЕРАЦИИ С ПРИМЕНЕНИЕМ V-ОБРАЗНОГО ФИКСАТОРА

А.З. Ткешелашвили

Грузинский университет им. Давида Агмашенебели, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Целью настоящего исследования является определение корреляционной связи между результатом операции и начальными факторами пациента при трансцервикальном переломе.

**Материал и методы.** Работа выполнена на основе исследования 100 больных с трансцервикальными переломами в возрасте от 20 до 80 лет. В качестве фиксаторов использовали V-образные спицы. Корреляционный анализ был проведен по методу Спирмена.

**Результаты.** Неудовлетворительный результат по Харрису положительно значимую корреляцию обнаруживает с возрастом > 75 лет –  $r = 0.406$ ,  $p = 0.000$ ; с сердечно-сосудистыми заболеваниями –  $r = 0.387$ ,  $p = 0.000$ ; с эндокринными заболеваниями –  $r = 0.484$ ,  $p = 0.000$ ; ментальными нарушениями  $r = 0.490$ ,  $p = 0.000$ , запоздалая консолидация положительно значимую корреляцию обнаруживает с возрастом > 75 г. –  $r = 0.522$ ,  $p = 0.000$ ; с IV стадией перелома по классификации Gardens –  $r = 0.218$ ,  $p = 0.029$ ; с сердечно-сосудистыми заболеваниями –  $r = 0.390$ ,  $p = 0.000$ ; с ментальными нарушениями –  $r = 0.429$ ;  $p = 0.000$ ; с синдромом миофасциальной болезненности –  $r = 0.272$ ;  $p = 0.006$ . Таким образом, осложнения коррелируют с возрастом более 75 лет, с соматическими заболеваниями и с IV стадией перелома по классификации Gardens.

## CORRELATIONS BETWEEN INITIAL FACTORS OF PATIENTS WITH TRANS-CERVICAL FRACTURE AND COMPLICATIONS OF SURGERY WITH THE USE OF THE V-SHAPED RETAINER

*A.Z. Tkeshelashvili*

David Agmashenebeli University of Georgia (DAUG), Tbilisi

### SUMMARY

**The aim** of this study is to determine the correlation between the results of operation and an patients initial factors.

**Material and Methods:** The research was carried out based on the study of 100 patients with transcervical fractures between the ages of 20 to 80 years. As a clamp we used V-shaped spokes. Correlation analysis was performed by means of Spearman's method.

**Results:** Unsatisfactory result according to Harris has a significant positive correlation with the age (> 75 years): –  $r = 0.406$ ,  $p = 0.000$ ; with cardiovascular disease –  $r = 0.387$ ,  $p = 0.000$ ; with endocrine diseases –  $r = 0.484$ ,  $p = 0.000$ ; mental disorders  $r = 0.490$ ,  $p = 0.000$ . Delayed consolidation detects the positive significant correlation with age (> 75): –  $r = 0.522$ ,  $p = 0.000$ ; with stage IV refract classification of Gardens –  $r = 0.218$ ,  $p = 0.029$ ; with cardiovascular disease –  $r = 0.390$ ,  $p = 0.000$ ; with mental disorders –  $r = 0.429$ ;  $p = 0.000$ ; myofascial painful syndrome, –  $r = 0.272$ ;  $p = 0.006$ ; Thus, the complications correlated with the age (over 75 years), with somatic diseases and with the stage IV fracture according to Gardens' classification.

## **ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის (ციბრუტაზა გამავალი) მოტეხილობები – თანამედროვე მენეჯმენტი. თანამედროვე კონსტრუქციები და მათი გამოყენების ჩვენებები**

*ბ. დუდუშაური<sup>1</sup>, თ. ნოზაძე<sup>2</sup>, მ. ზიმლიცკი<sup>1</sup>, ლ. ქანტურია<sup>3</sup>,  
მ. ფირფიალაშვილი<sup>1</sup>*

<sup>1</sup> AO Trauma, თბილისი; <sup>2</sup> თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერ-  
სიტეტი; <sup>3</sup> პეტრე შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

აშშ-ში წელიწადში ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის მოტეხილობის და-  
ახლოებით 250.000 შემთხვევა აღინუსხება და ივარაუდება, რომ 2040 წლისთვის  
ეს მაჩვენებელი 500.000-მდე გაიზრდება [11]. მიმდინარე დანახარჯები არის ათი  
ბილიონი დოლარი წელიწადში [34, 47]. ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის  
ათიდან ცხრა მოტეხილობის შემთხვევა ვლინდება სამოცდახუთ წელზე მეტი  
ასაკის პაციენტებში და დაახლოებით სამი მეოთხედი ამ პაციენტებისა არიან  
ქალები. ამ დაზიანებებიდან დაახლოებით ნახევარი არის ციბრუტებზე გამავალი  
მოტეხილობა.

დღევანდელი სტანდარტული მკურნალობა არის ოპერაციული – ღია რეპოზიცია,  
შიდა ფიქსაცია ექსტრამედულარული და ინტრამედულარული კონსტრუქციებით.  
თუმცა, დაგვიანებულ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს ენდოპროთეზირებაც.

უკანასკნელ წლებში მოწოდებულ იქნა სპირალური კონფიგურაციის ჭანჭიკები.  
ბიომექანიკური კვლევების შედეგად დადგინდა მათი უპირატესობა სტანდარტულ  
დინამიკურ ჭანჭიკებთან შედარებით.

ბარძაყის დინამიკური სტანდარტული ჭანჭიკებით წარმატებით გამოიყენება  
AO/OTA 31-A1 მოტეხილობების მკურნალობის დროს, ხოლო კვლევებით ნაჩვენებია  
ინტრამედულარული კონსტრუქციების უპირატესობა AO/OTA 31-A3  
მოტეხილობებისას. AO/OTA 31-A2 ტიპის მოტეხილობების დროს წარმატებით  
შეიძლება იქნას გამოყენებული ბარძაყის დინამიკური სპირალური ჭანჭიკი [30].  
მომავალში სასურველია ჩატარდეს მეტი კლინიკური კვლევა დინამიკური  
სპირალური ჭანჭიკის გამოყენებაზე, რათა განისაზღვროს მისი როლი AO/OTA  
31-A2 ტიპის მოტეხილობების დროს.

საკვანძო სიტყვები: ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის მოტეხილობები, ციბრუ-  
ტებზე გამავალი მოტეხილობები, მოტეხილობის სტაბილობა, ბარძაყის დინა-  
მიკური ჭანჭიკი, ბარძაყის დინამიკური სპირალური ჭანჭიკი

აშშ-ში წელიწადში ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის მოტეხილობის დაახლოებით 250.000 შემთხვევა აღინუსხება და ივარაუდება, რომ ეს მანვენებელი 2040 წლისთვის 500.000-მდე გაიზრდება [11]. მიმდინარე დანახარჯები არის ათი ბილიონი დოლარი წელიწადში [34, 47]. ბარძაყის პროქსიმალური ნაწილის ათიდან ცხრა მოტეხილობის შემთხვევა ვლინდება სამოცდახუთ წელზე მეტი ასაკის პაციენტებში და დაახლოებით სამი მეოთხედი ამ პაციენტებისა არიან ქალები. ამ დაზიანებებიდან დაახლოებით ნახევარი არის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობა, რომლის წლიური მანვენებელი შესწავლილ 100.000 ხანდაზმულ ქალში არის 63%, ხოლო მამაკაცებში – 34% [2].

ასეთი მოტეხილობების უმეტესობა დაცემის შედეგად წარმოიქმნება [16, 17, 39]. 1996 წელს კოვალმა აღმოაჩინა, რომ მაშინ როდესაც დაზიანება ხდება ოთხმოცდახუთ წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში, პოზიტიური საპროგნოზო ფაქტორი მოიცავს სამ ან მეტ სამედიცინო დაავადებას, მოტეხილობამდელ დამოუკიდებლობას და ამბულატორიულ სტატუსს [28]. უფრო მეტიც, 1998 წლის ანგარიშში, წინა ანგარიშების საპირისპირო მონაცემებთან შედარებით, კოვალი აღნიშნავს, რომ მოტეხილობის ტიპი არ წარმოადგენს გარდაცვალების ან სრული გამოჯანმრთელების და სიარულის უნარის დაბრუნების წინაპირობას [23].

აღნიშნულია, რომ ძელის სიმკვრივე წარმოადგენს ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის წინაპირობას, მსგავსი მოტეხილობები იშვიათად წარმოიქმნება ისეთ ადამიანებში, რომელთა ძელის სიმკვრივე არის >1.0 გ/სმ. ინციდენტის ალბათობა იზრდება 100 პირიდან 16.6%-ში, რომელთა ძელის სიმკვრივე არის < 0.6 გ/სმ. სინგპის ინდექსი გამოიყენება ძელის სიმკვრივის შესაფასებლად. ძელის მაქსიმალური სიმკვრივე გვხვდება რეგონებში, სადაც ტრახეკულის კომპრესია და გაფართოება ძირითადად ერთიანდება თვის თავის ცენტრში.


პაციენტები ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობით არიან ნაკლებად მოძრავნი. იმის გამო, რომ ამ პაციენტების უმრავლესობა უფროსი ასაკისანი არიან, მათ ხშირად სჭირდებათ სამედიცინო ოპტიმიზაცია და ძალიან ფრთხილი შეფასებაა საჭირო, ვიდრე მოხდება ორთოპედიული ოპერაციული ჩარევა. მეორე მხრივ, ქირურგიული ჩარევის დრო არის კრიტიკული. ცუკერმანმა აღმოაჩინა, რომ ორ დღეზე მეტი ხნის დაყოვნება ზრდის სიკვდილიანობას პირველ პოსტოპერაციულ წელს [57]. ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მკურნალობის პერიოდულ ინდივიდუალურია პაციენტის სამედიცინო მდგომარეებიდან გამომდინარე.

## **კვლევის მიზანი, მასალა და მეთოდები**

### **ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის კლასიფიკაცია**

თითოეული კლასიფიკაციის სისტემის მიზანი არის მოტეხილობების დაჯგუფება მსგავსი ნიშნების, პროგნოზების ან მკურნალობის მიხედვით. როგორც წესი, რადიოგრაფიული გამოკვლევის საფუძველზე ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობები იყოფა სტაბილურ და არასტა-

ბილურ შემთხვევებად. სტაბილური მოტეხილობები მოიცავს ორი მოტეხილობის ზედაპირს, რომელიც სრულად ინტაქტურია და კონცენტრულად სწორდება იმპლანტი. სტაბილურობა ეფუძნება რეპოზიციას და მედიალური კორტექსის შენარჩუნებას. ეს მოტეხილობები მოიცავს AO/OTA 31A1 და 31A2.1. ნიმუშებს წარმოადგენს სტაბილური მოტეხილობები [40] (სურ. 1).



სურ. 1. OTA/AO კლასიფიკაცია ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობისას სტაბილური და არასტაბილური მოტეხილობის ნიმუშების განცალკევებით

არასტაბილური მოტეხილობები მოიცავს მოტეხილობებს დამსხვრეული უკანა-მედიალური კორტიკალური შრით, შებრუნებული-ირიბი ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობით და ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობით ციბრუტქვედა გაერცვლებით. ეს მოტეხილობები მოიცავს AO/OTA 31A2.2, A2.3 31A3 ნიმუშებს (სურ. 1).

**ქირურგიული მკურნალობის არჩევანი**

დღევანდელი სტანდარტული მკურნალობა არის ოპერაციული - ღია რეპოზიცია შიდა ფიქსაცია ექსტრამედულარული და ინტრამედულარული კონსტრუქციებით. თუმცა დაგვიანებული შემთხვევების დროს შეიძლება ჩატარდეს ენდოპროთეზირებაც. გამონაკლისი არის ის იშვიათი პაციენტი, რომლის სამედიცინო დაავადება გამორიცხავს ქირურგიას. ოპერაციული მიზანია, მყარი კონსტრუქციის გამოყენება, რომელიც საკმარისია გადაადგილების და კიდურის ნაწილობრივი ან სრული დატვირთვისთვის. მობილიზაცია ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში ამცირებს სირთულეებს, რომელიც დაკავშირებულია ხანგრძლივ წოლით რეჟიმთან. ოპერა-

ციული მკურნალობის საბოლოო მიზანია პაციენტს აღუდგინოს მანამდე არსებული დამოუკიდებელი მდგომარეობა და ფუნქცია.

### **ისტორიული ფონი**

ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის ოპერაციული მკურნალობა ფირფიტის მსგავსი ხელსაწყოთი პოპულარიზებულ იქნა 1930-იან წლებში ჯევეტის მიერ. ეს ფიქსირებული კუთხოვანი სამფრთიანი ღერო მოტეხილობის დაუყოვნებელი სტაბილურობის და ადრეულ მობილიზაციის საშუალებას იძლეოდა. როგორც წესი, ეს რიგიდული, მყარი კონსტრუქცია არ იძლეოდა იმპაქციის საშუალებას. თუ რეპოზიცია არ იყო სტაბილური, მაშინ არსებობდა წარუმატებლობის დიდი მანვენებელი, როგორც შედეგი გადაღლილობისგან გამოწვეული იმპლანტის გატეხვა ან ბარძაყის ძვლის თავის კოლაფსი და ძვლიდან ღეროს პროტრუზიისა (ზედა ამოჭრა).

იმისთვის, რომ ფორსირება იმპლანტიდან ძვალს გადაეცეს, მედიალური სტაბილურობისთვის შეიქმნა სტეოტომიის ტექნიკა. დიმონ-ჰუგსტონის ოსტეოტომიით [12] ბარძაყის დიაფიზი გადანაცვლდა მედიალურად, რის შედეგად ყელიდან დატვირთვა დიაფიზზე გადავიდა. საპირისპიროდ, სარმიენტოს ვალგუსური ოსტეოტომია [47] მოიცავს ლატერალური სოლის რეზექციას ბარძაყის ძვლის პროქსიმალური ნაწილიდან და ფიქსაციას უფრო მეტად სტაბილური ვალგუსის პოზიციაში.

ვინაიდან მიღებული კონფიგურაცია ძელოვან სტაბილურობას გთავაზობს, რიგიდული ფიქსაციის იმპლანტი დამაკმაყოფილებლად ფუნქციობდა; მიუხედავად ამისა, რაიმე სახის კოლაფსის არსებობისას, იმპლანტი ხშირად ვერ ახერხებდა მოტეხილი ფრაგმენტების ფიქსაციის შენარჩუნებას.

მოდრავი ღერო – ფირფიტები, როგორცაა Massie და Ken-Pugh ღეროები, შესაბამისად, შექმნილი იყო მოტეხილობის იმპაქციისთვის და წარმოადგენს თანამედროვე ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკების წინამორბედს.

### **ბარძაყის პროქსიმალური დინამიკური ჭანჭიკები**

გარდა მოტეხილობის იმპაქციისა, ბარძაყის პროქსიმალური დინამიკური ჭანჭიკები (ხშირად მოხსენიებული, როგორც მენჯ-ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკი ან მენჯ-ბარძაყის კომპრესული ჭანჭიკი) გთავაზობს დამატებით გაუმჯობესებას წინა დიზაინთან შედარებით.

ლურსმანი მჭრელი კიდევებით ჩანაცვლდა ბლაგვი ფართო დიამეტრის ჭანჭიკით, რომელიც ამცირებდა იმპლანტის ამოჭრის ალბათობას ისევე, როგორც აუმჯობესდა ფიქსაციის თავში (სურ. 4). ბიომექანიკურმა ცდებმა გამოავლინა, რომ ბარძაყის პროქსიმალური დინამიკური ჭანჭიკი მოქმედებს, როგორც ლატერალური დაჭიმული სალტე (ტენსიონ ბანდ) სტაბილური მოტეხილობის შემთხვევაში, რომელიც მედიალური კორტიკალური შრის მეშვეობით გადასცემს ძალას [20]. ეს გვაძლევს მოტეხილი ზედაპირების იმპაქციას არასტაბილური მოტეხილობებისას, ამით ამოკლებს რა ბერკეტის მკლავს (lever arm) და ამცირებს დრეკადობის მომენტს (bending moment) და აღარ ხდება ბარძაყის თავიდან ამოჭრა [20]. ლოსმა აჩვენა, რომ დინამიკური ფირფიტა ნაკლებ ძალას ითხოვს ჭანჭიკის




მოძრაობის წარმოსაქმნელად, ვიდრე მეორე თაობის ინტრამედულარული იმპლანტები [29]. სიმპსონმა გვიჩვენა, რომ ჭანჭიკის ფირფიტაში მოძრაობის უნარის დაკარგვით იმპლანტი ყალიბდება ფუნქციურ რიგიდულ კონსტრუქციად, რაც იწვევს დაზიანების დიდ სისშირეს [48]. 135<sup>0</sup>-იანი ბარძაყის პროქსიმალური დინამიკური ჭანჭიკის ტელესკოპირებისას დამატებით 10 მმ და 20 მმ-ით, იმპლანტის სიმძლავრე უმჯობესდება 28% და 80%-ით ნაწილობრივ ბერკეტის მკლავის (lever arm) დამოკლების გამო [21].



სურ. 2. სტანდარტული ჭანჭიკი



სურ. 3. სპირალური ჭანჭიკი



სურ. 4. ბარძაყის მოძრავი ხრახნის კონსტრუქცია ახდენს მოტეხილობის იმპაქციის დემონსტრირებას და ბარძაყის ძვლის თავის ხრახნით ფიქსაციას

მიუხედავად ამ თეორიული და ბიომექანიკური შესაძლებლობებისა, ბარძაყის პროქსიმალური დინამიკური ჭანჭიკის კონსტრუქციას გარკვეული შეზღუდვებიც აქვს. ჯეიკობსმა აღმოაჩინა, რომ სტაბილური მოტეხილობის საშუალო დამოკლება (settling) იყო 5.3 მმ, ხოლო არასტაბილური მოტეხილობის – 15.7 მმ [20]. სტეინბერგმა აღმოაჩინა, რომ ამ კონსტრუქციებში ჭანჭიკების საშუალო მოძრაობა არის 9.3 მმ და კორეკციებს >15 მმ მოძრაობასთან, რაც იწვევს ფიქსაციის მარცხს [49]. რკამ აღმოაჩინა, რომ ჭარბი მოძრაობა (სურ. 5) ფიქსაციის მარცხის გამომწვევ

ფაქტორს წარმოადგენდა [44]. ბარძაყის დიაფიზის მედიალიზაცია ბარძაყის ძვლის ერთ-მესამედზე მეტით ასოცირდება ფიქსაციის მარცხის შეიდვჯერ გაზრდასთან [42]. ასოციაცია იქმნება მოტეხილობის დამოკლებასა (settling) და ტკივილს შორის. ბაიქსაულმა [4] აღმოაჩინა მოძრაობა >15 მმ, კიშმა კი [25] აღმოაჩინა >20 მმ მოძრაობა, ასოცირებული პოსტოპერაციულ ტკივილთან. მიულერ-ფარბერმა გვინვენა, რომ ბარძაყის პროქსიმალური ჭანჭიკის გაზრდილი მოძრაობა ასოცირებულია ოპერაციის შემდგომ შემცირებულ მოძრაობასთან [35].



სურ. 5. ჭანჭიკის ჭარბი მოძრაობა და ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის კოლაფსი ბარძაყის დინამიკური ხრახნის კონსტრუქციით მკურნალობის შემდეგ

ბარძაყის პროქსიმალური დინამიკური ჭანჭიკის არსებული ნაკლოვანების გამო გარკვეული მოდიფიკაციები შემუშავდა. ეგგერსის ფირფიტა გეთაგაზობდა თეორიულ უპირატესობას ბიდირექციულ ან ბიაქსიალური მოძრაობას ჭანჭიკი-ხვრელების ნაპრალით ჩანაცვლებით მოტეხილობის ზედაპირების იმპაქციის გასაზრდელად. ა. მედოფის ფირფიტა გამოიყენეს ბიაქსიული დინამიზაციისთვის, რომელიც მოტეხილ ფრავმენტებს ვერტიკალური კომპაქციის საშუალებას აძლევდა და, გამომდინარე აქედან, უფრო ფექტურად ანაწილებდა სტრესს მედიალური კორტექსის მეშვეობით, ვიდრე სტანდარტული ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკის კონსტრუქციები [30, 41]. მიუხედავად ამ თეორიული უპირატესობისა, ლუნსომ დაადგინა, რომ მედოფის ფირფიტას არ გააჩნია უპირატესობა ბარძაყის პროქსიმალური მოძრავი ჭანჭიკის არსებულ კონსტრუქციასთან მიმართებაში [30].


მყარი ფიქსაციის მისაღწევად შემუშავდა გოტფრიედის ფირფიტა - თეორიული სარგებელი იყო კანქვეშა პერკუტანული მიდგომა. მიუხედავად ამისა, სტანდარტული ფიქსაციის მეთოდებთან შედარებით, მას არ აღმოაჩნდა გარკვეული სახის სპეციფიკური უპირატესობა [26]. ბაიქსაულმა განავითარა და გამოსცადა გაძლიერებული, არმირებული რიგიდული ფიქსაციის კონსტრუქცია არასტაბილურ ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობისთვის [4]. კონსტრუქცია ორი ნაწილისგან შედგებოდა: 120° დერო-ფირ-

ფიტა და ქვედა სადგამი, რომელიც ფირფიტისგან ღეროსკენ ფიქსირდებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს გაძლიერებული, არმირებული ფირფიტა მჭრელი პირით ეფექტურია არასტაბილური მოტეხილობის სამკურნალოდ. მექანიკურმა ტესტირებამ აჩვენა, რომ ეს არის ორჯერ ან სამჯერ ძლიერი, ვიდრე გამმას ღერო. დამატებითი ქვედა სადგამი ელემენტი ამცირებს ბერკეტის მხარს და გადასცემს დატვირთვას და ძალას ფირფიტის შუაგულისკენ, ამცირებს რა ვარუსული, ამომგდები ძალის მოქმედებას ჭანჭიკზე. ბაიქსაულმა აღმოაჩინა ფიქსაციის 54%-იანი მარცხი, სიარულის უნარი ადღვა არასტაბილური მოტეხილობით პაციენტების 82%-ში.

ციბრუტების მასტაბილიზებელი ფირფიტა, კონსტრუქცია, გამიზნული არასტაბილური მოტეხილობისთვის, რომელიც ემატება სტანდარტული მოძრავი ბარძაყის პროქსიმალურ ჭანჭიკს, აკავებს დიდ ციბრუტს და პრევენციას უკეთებს ციბრუტის ლატერალურ გადაადგილებას-ცდომას (სურ. 6). კლინიკური ცდებისას, ბაბსტმა აღმოაჩინა, რომ ციბრუტების სტაბილიზაციის ფირფიტა ხელს უშლის მოტეხილობის ჭარბ იმპაქციას და შემდგომ კიდურის დამოკლებას პაციენტების 90%-ში არასტაბილური მოტეხილობით [5]. როგორც წესი, ციბრუტების მასტაბილიზებელი ფირფიტის გამოყენება მოითხოვს საოპერაციო დროის მნიშვნელოვან ზრდას შედარებით იმ დროსთან, რომელიც საჭიროა დინამიკური ბარძაყის ჭანჭიკის ფიქსაციისთვის (119 შედარებით 77 წუთთან). პროსპექტული, რანდომიზებული კვლევისას, მადსენმა შეადარა 170 პაციენტის შედეგები, რომელთაც ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი არასტაბილური მოტეხილობის მკურნალობა ჩაუტარდათ გამა ლურსმნით, ბარძაყის პროქსიმალური კომპრესიული ჭანჭიკით ან ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკი ციბრუტების მასტაბილიზირებელი ფირფიტით [36]. ციბრუტების მასტაბილიზებელი ფირფიტის გამოყენებამ ბარძაყის დინამიკურ ჭანჭიკთან ერთად შეამცირა პროქსიმალური ფრაგმენტის, ბარძაყის თავის და დიდი ციბრუტის ლატერალური გადაადგილება-ცდომა. ამასთან, არანაირი გავლენა შეხორცების პროცესზე არ ჰქონია და პაციენტების 91%-მა შემლო დახმარების გარეშე გადაადგილება ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ.


უკანასკნელ წლებში მოწოდებულ იქნა სპირალური კონფიგურაციის ჭანჭიკები, რომელთა გამოყენებისას მათი ბიომექანიკური ტესტირების შემდეგ დადგინდა იმპლანტის ძვალთან მოჭიდების მაღალი ხარისხი. ასეთი იმპლანტები სულ უფრო ხშირად გამოიყენება ორთოპედიულ ქირურგიაში (სურ. 3).

ბიომექანიკური კვლევებით დასტურდება ბარძაყის პროქსიმალური სპირალური ჭანჭიკის უპირატესობა სტანდარტულ ჭანჭიკთან შედარებით. უპირატესობა გამოიხატება სპირალური იმპლანტის ძვალთან უკეთეს მოჭიდებაში [52, 54-56].



ბიომექანიკური უპირატესობა

სურ. 6. ტროქანტერული მასტაბილიზებული ფირფიტა ამყარებს ლატერალურ კორტექსს



სურ. 7. ინტრამედულარული ღეროების თეორიული ბიომექანიკური უპირატესობა, რაც მოიცავს ბერკეტის მოკლე მკლავს

### ინტრამედულარული კონსტრუქციები – იმპლანტები

დინამიკური გვერდითი ფირფიტის კონსტრუქციის ნაკლოვანებებიდან და შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეიქმნა ადრეული ინტრამედულარული იმპლანტი, როგორცაა კიუნხერის ღურსმანი. ამ ღურსმანს აქვს თეორიული უპირატესობა, რაც ბერკეტის მკლავის (lever arm) დამოკლებაში გამოიხატებოდა (სურ. 7). ის დამოკლებას ან როტაციულ დეფორმაციებს არ უკეთებდა პრევენციას და არ აძლევდა მოტეხილი ზედაპირების იმპაქციის (კომპრესია) საშუალებას. პირველი თაობის (გამატიპის) ინტრამედულარული ღურსმანი პირველ ინტრამედულარულ იმპლანტზე მაღლა იდგა; თეორიული უპირატესობა გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი არ საჭიროებდა ინტაქტურ ლატერალურ კორტიკალურ შრეს. დამატებით, პირველი თაობის ინტრამედულარული ღურსმანი ახორციელებდა სამწერტილოვან ფიქსაციას და იმპლანტის მედიალური მდებარეობა უზრუნველყოფდა უფრო ეფექტური დატვირთვის გადანაწილებას [45]. ღურსმანს აგრეთვე აქვს ბერკეტის შეღარებით მოკლე მკლავი (lever arm), რომელმაც შეამცირა სტრესი იმპლანტზე და მექანიკური დაზიანების რისკი [45]. პირველი თაობის ღურსმნის დამატებით თეორიული უპირატესობა კონ-

ტროლირებადი მოტეხილობის იმპაქციაში მდგომარეობს (სურ. 8), აგრეთვე მისი იმპლანტაცია შესაძლებელია დახურული რეპოზიციით, რაც ხორციელდება მცირე საოპერაციო დროში და მინიმალური სისხლის დაზიანებით.



სურ. 8. ინტრამედულარული ლურსმნის კონსტრუქცია ვეინვენებს მოტეხილობის კოლაფსს

პირველი თაობის ინტრამედულარული გამა ლურსმნის ბიომექანიკური კვლევა ჩატარდა 17 მმ პროქსიმალური და 12, 14 ან 16 მმ დისტალური დიამეტრის მქონე ღეროებზე: ლურსმანს ჰქონდა  $10^0$  ვალგუსური კუთხე და არ ჰქონდა წინა გადახრა (anterior bow). როზენბლუმმა დაასაბუთა, რომ ლურსმნის რიგიდულობა ბარძაყის პროქსიმალურ ნაწილს არაფიზიოლოგიურ დატვირთვას ანიჭებს [45]. დამატებით, ლურსმანი შემცირებულ დატვირთვას გადასცემდა ბარძაყის ყელის კალკარზე (calcar) მოტეხილობის შემცირებული სტაბილურობით – ამგვარად, კალკარის გვერდის ავლით ძირითადი კომპრესიული დატვირთვა კონცენტრირდებოდა ღეროს დისტალურ დაბოლოებაზე. პირველი თაობის ამ გამა-ტიპის ლურსმანთან ასოცირებული გართულებები მოიცავს ბარძაყის დიაფიზის მოტეხილობას, რომელიც, სავარაუდოდ, არის ლურსმნის წვერზე სტრესის კონცენტრაციის შედეგი, იმპლანტის უზუსტო იმპლანტაცია და აცდენილი დისტალური ჩამკეტი ჭანჭიკები (სურ. 9). სტანდარტული გამა ლურსმის გამოყენების ადრეულ ეტაპზე მთელი ფილოსოფია იყო სათანადო ამოვსება (correct fill), რომელიც შეესაბამება 16 მმ დიამეტრის ლურსმნის გამოყენებას. 100 პაციენტის შესწავლისას, ბრიდლმა აღმოაჩინა, რომ ბარძაყის დიაფიზის სამი მოტეხილობა მოხდა 16 მმ-იანი ლურსმნის გამოყენებით [9]. გართულება იყო აგრეთვე ბარძაყის ტკივილი და ივულის-სმებოდა, რომ ეს იყო მეორადი – დისტალური ინტერჩამკეტი ჭანჭიკის, იმპლანტის წინა გადახრის არარსებობის და ლურსმნის ჭარბი სიგრძის გამო. როზენბლუმმა აგრეთვე აღმოაჩინა ხრახნის შემცირებული მოძრაობა ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკის კონსტრუქციასთან შედარებით.



სურ. 9. დისტალური ინტერჩამკეტი ბოლტის არსებობა წარმოშობს დისტალურ სტრესს


## შედეგები

### ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკი

ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მკურნალობის შედეგების ანალიზი ძირითადად ხდებოდა მოტეხილობის შესორცების მიხედვით. მიუხედავად ბოლო წლებში აშკარა წინსვლისა, ასეთი მოტეხილობების მკურნალობისას ადგილი ჰქონდა იმპლანტის კატასტროფულ მარცხს. სიმფსონმა შეისწავლა ოსტეოსინთეზის შემდგომი გართულებები და აღმოაჩინა, რომ ყველაზე ხშირი იყო ჭანჭიკის ზევით, მაღლა ამოჭრა, ფორფიტის მოვარდნა და მისი გატეხვა [48]. კიმმა აღმოაჩინა, რომ ბარძაყის დინამიკური ხრახნის უკმარისობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო მოტეხილობის არასტაბილობა [25]. კაილმა აღნიშნა, რომ კომპრესიული, დინამიკური ჭანჭიკის განთავსება ბარძაყის თავში სუბქონდრალური ძვლიდან 5 მმ-ში დაკავშირებული იყო კლინიკური გართულების დაბალ მაჩვენებელთან იმ პაციენტებში, რომელთაც არასტაბილური მოტეხილობა აღენიშნებოდათ [27] (სურ. 10).


ბაუმგაერტნერმა აღმოაჩინა, რომ იმპლანტის ამოჭრის ყველაზე ნათელი მაჩვენებელი არის მწვერვალი-დაბოლოების დიამეტრი [8] (სურ. 11-ა და 11-ბ). მწვერვალი-დაბოლოების დიამეტრი გამოითვლება ხრახნის წვეროსა და ბარძაყის თავის ცენტრის დისტანციის დაჯამებით, ორივე წინა-უკანა და გვერდითი სიბრტყით. მწვერვალი-დაბოლოების საშუალო დიამეტრი ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის წარმატებული მკურნალობისას იყო 24 მმ, და ბარძაყის თავიდან მიგრაცია არ გამოუწვევია არც ერთ კონსტრუქციას, სადაც მწვერვალი-დაბოლოების საშუალო დიამეტრი იყო < 25 მმ. დინამიკური ჭანჭიკის ოპტიმალური განთავსება ბარძაყის თავში ცენტრი-ცენტრი პოზიციაზე უზრუნველყოფს საუკეთესო ძვლიდან

მოჭიდებას, რადგან ამ ლოკალიზაციაზე ტენზიური და კომპრესიული ტრაბეკულების იდეალური შერწყმა [27]. კაილმა აღმოაჩინა, რომ არ ხდებოდა ჭანჭიკების ამოჭრა, თუ ისინი მოთავსებული იყო რეგიონში ცენტრი-ცენტრი (2-2) და 58%-ში ხდებოდა ჭანჭიკების ამოჭრა, თუ ისინი მოთავსებული იყო თავში ზემოთ 1/3 ან 1/2 რეგიონში [27] (სურ. 10).



სურ. 10. კომპრესიული ხრახნის იდეალურად განთავსება ბარძაყის თავის ცენტრალურ ადგილას


ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკის ამოჭრის მანქნელებელი განისაზღვრა ბარძაყის თავში 1.1%-დან 6.3%-მდე ციბრუტებზე გამავეალი მოტეხილობისას [1, 7, 9, 36, 48, 50, 53], სადაც იმპლანტის ამოჭრა 84%-ში წარმოადგენდა ფიქსაციის მარცხის გამომწვევე მიზეზს [8] (სურ. 12). პარკერისა და პრიორის შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს დინამიკური ხრახნის ამოჭრას ბარძაყის თავში (2.5%) [43]. ბარძაყის დინამიკური ხრახნის მექანიკური მარცხის, უკმარისობის მანქნელებელი განისაზღვრა 4%-დან 12.5%-მდე ციბრუტებზე გამავეალი მოტეხილობებისას [7, 18, 41, 48, 53].




სურ. 11-ა. მწვერვალი-დაბოლოების დიამეტრი გამოითვლება ხრახნის წვეროსა და ბარძაყის თავის ცენტრის დისტანციის დაჯამებით, ორივე წინა-უკანა და გვერდითი სიბრტყით

არენგარტმა თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ 179 პაციენტის 88%-ს, რომლებიც დინამიკური ხრახნით მკურნალობდნენ, 6 თვეზე აღენიშნებოდათ მოტეხილობის კონსოლიდაცია [1]. თუმცა, ელისმა და კაილმა თავიანთ ანგარიშში აღნიშნეს დინამიკური ხრახნების კონსტრუქციის 25%-იანი მარცხი, როდესაც ის გამოიყენებოდა არასტაბილური ბაზიციერვიკული

მოტეხილობებისას, როგორცაა კაილის ტიპი – V ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობები [14] (სურ. 13).



სურ. 12. ბარძაყის თავში მიგრაციის რადიოგრაფიული ჩვენება ბარძაყის დინამიკური ხრახნის კონსტრუქციით



სურ. 13. ბარძაყის ბაზიციერვიკული მოტეხილობა

ბარძაყის მოძრავ ხრახნთან ასოცირებული ფუნქციური შედეგები შესაძლოა მეტად რელევანტური ინდიკატორი იყოს ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობების წარმატებული მკურნალობისთვის. მაგრამ თანამდევნი დაავადებების ნაკრების გამო, რომელიც ართულებს პაციენტების საბოლოო შედეგებს, მეტად რთულია ინტერპრეტაცია-განმარტების გაკეთება.

აღამსმა აღმოაჩინა, რომ არ არსებობს განსხვავება სტაბილური და არასტაბილური მოტეხილობების ნიმუშებთან ასოცირებულ შედეგებს შორის და აღნიშნა, რომ 197 პაციენტიდან მხოლოდ 21% იბრუნებს მოტეხვამდე არსებულ დამოუკიდებლობას [3]. მედოფი და მავსი ანგარიშში აღნიშნავენ, რომ პაციენტების 50%, რომელთაც მკურნალობა არასტაბილური ბარძაყის ციბრუტებზე გამავალ მოტეხილობაზე ბარძაყის დინამიკური ხრახნით ჩაუტარდათ, სიარული დამოუკიდებლად შეძლეს საავადმყოფოდან გამოწერისას (საშუალო ვადა საავადმყოფოში ყოფნის 12.6 დღე) [37]. ბრიდლი ანგარიშში აღნიშნავდა, რომ მათ კონტინგენტში, რომელიც ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მქონე 51 პაციენტისგან შედგებოდა, 28%-მა დამოუკიდებელი სიარული ექვს თვეში შეძლო [45]. 179 პაციენტის შესწავლისას, რომელთაც მკურნალობა კომ-



პრესიული ბარძაყის ხრახნიანი აღჭურვილობით ჩაუტარდათ, არეგარტმა აღნიშნა, რომ 70%-ს სჭირდებოდა დახმარება სიარულისას ექვსი თვის ბოლოს იმ 36%-თან შედარებით, რომელთაც ოპერაციამდე სჭირდებოდათ დახმარება [1]. მიუღერ-ფარბერმა აღმოაჩინა კავშირი ჭანჭიკის მოძრაობასა და პოსტოპერაციულ მობილობას შორის. პაციენტებს, რომელთაც აღნიშნებოდათ ჭანჭიკის მობილობა  $>18.7$  მმ, პოსტოპერაციულ პერიოდში ჰქონდათ ნაკლები მობილურობის უნარი [35].

ლეუნგმა 100 პაციენტის ბარძაყის დინამიკური სპირალური ჭანჭიკით მკურნალობის შემდეგ დაასკვნა, რომ ეს ჭანჭიკი ეფექტურია AO/OTA 31-A1 და A2 ტიპის მოტეხილობების მკურნალობისას და აღინიშნება გართულებების დაბალი პროცენტით [33]. სპირალური ჭანჭიკის კონსტრუქციაში გაზრდილია საკონტაქტო ზედაპირი კონსტრუქციასა და ბარძაყის თავის ღრუბლოვან ძვალს შორის – შედეგად კონსტრუქცია უფრო მყარია [52]. ფენგის [15] მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, სადაც ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკი შედარდა ბარძაყის დინამიკურ სპირალურ ჭანჭიკთან. 197 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სპირალური ჭანჭიკი, ხოლო 242 შემთხვევაში – სტანდარტული დინამიკური ჭანჭიკი. შედარებულ იქნა რადიოლოგიური და კლინიკური შედეგები. ფიქსაციის წარუმატებლობა აღირიცხა სპირალური ჭანჭიკის გამოყენებისას 2-ჯერ, ხოლო სტანდარტული ჭანჭიკის დროს 13-ჯერ. იმპლანტის მიგრაცია არ მომხდარა სპირალური ჭანჭიკებით მკურნალობისას, ხოლო სტანდარტული ჭანჭიკის შემთხვევაში მიგრაცია 9-ჯერ მოხდა. სპირალური ჭანჭიკების შემთხვევაში ბარძაყის თავიდან იმპლანტის ამოჭრა 2-ჯერ მოხდა, ხოლო სტანდარტულის დროს – 4-ჯერ. სტანდარტული ჭანჭიკით მკურნალობისას ასევე დაფიქსირდა ფირფიტის ბარძაყიდან აწევა-აძრობის 1 შემთხვევა.

### *ინტრამედულარული კონსტრუქციები*


ბარძაყის მოტეხილობა იყო პირველი თაობის ინტრამედულარული ლურსმნის გამოყენებისას მიღებული გართულება, რომლის მაჩვენებელი 2.2%-დან 17%-მდე მერყეობდა [7, 31, 36] და საერთო მაჩვენებელი მეტაანალიზის შემდგომ 5.3% იყო [42]. ბრიდლმა აღმოაჩინა, რომ ბარძაყის მოტეხილობის ორი მესამედი გეხვდებოდა პაციენტებში, რომელთაც ჰქონდათ 16 მმ დიამეტრის იმპლანტი [9].

ინტრამედულარული ლურსმნის გამოყენებისას ბარძაყის თავში ამოჭრის მაჩვენებელი მერყეობდა 2%-დან 4.3%-მდე [7, 10, 31, 36], ხოლო მეტაანალიზის შემდგომ საშუალო მაჩვენებელი აღინიშნა 3.1%-ში [42]. ბარძაყის ტკივილი აღინუსხა პაციენტების 17%-ში, რომელთაც მკურნალობა უტარდებოდათ პირველი თაობის ლურსმნით და ჰარდიმ აღმოაჩინა ტკივილსა და ორ დისტალურ ინტერჩამკეტ ჭანჭიკს შორის კავშირი [18].

დამატებით, ჰარდიმ და დროსოსმა გვიჩვენეს, რომ კონსტრუქცია ამოკვეთილი (slotted) დისტალური ხერხელით იწვევს ნაკლებად ძლიერ ტკივილს, ვიდრე სტანდარტული ინტერჩამკეტ ხერხელი [19].

ჩაველიმ და გამბამ აღმოაჩინეს, რომ 63 პაციენტს ჩაუტარდა მკურნალობა პირველი თაობის ლურსმნით, 38% გაიარა დახმარების გარეშე,

36%-ს დასჭირდა ერთი ყავარჯენი, ხოლო 26%-ს – ორი ყავარჯენი დაახლოებით 7.2 თვის განმავლობაში ოპერაციის შემდეგ. ინფექციის მაჩვენებელი იყო 1.5% [10].



სურ. 14-ა

სურ. 14-ბ

სურ. 14-ა. სქემატური პირველი თაობის გამა ლურსმანი, გვინვენებს  $10^{\circ}$  ვალგუსურ ოფსეტს და კონსტრუქციის სიგრძეს. სურ. 14-ბ. სქემატური მეორე თაობის გამა ლურსმანი, გვინვენებს აგებულებაში ცვლილებებს, რომელიც გამოიხატება ვალგუსური ოფსეტის შემცირებასა და მთლიანი სიგრძის დამოკლებაში

პირველი თაობის ინტრამედულარული ლურსმნის შეზღუდვებმა და გართულებებმა გამოიწვია ცვლილებები ლურსმნის დიზაინში (სურ. 14-ა და 14-ბ). მეორე თაობის ინტრამედულარულ ლურსმანში განხორციელებული ცვლილებები, როგორცაა ციბრუტოვანი გამა ლურსმანი (სტრაიკერ-პაუმელიკა, რუთერფორდი, ნიუ ჯერსი) გამოიხატებოდა დისტალური დიამეტრის 11 მმ-მდე, ვალგუსური ოფსეტის  $4^{\circ}$ -მდე შემცირებასა და ლურსმნის მთლიანი სიგრძის დამოკლებაში. ამ იმპლანტის ბუნებრივი რიგიდულობა იცავდა პროქსიმალურ-მედიალურ კორტიკალურ შრეს და დატვირთვას გადასცემდა ღეროს დისტალურ ნაწილს.



სურ. 15. შებრუნებული-ირიბი მოტეხილობის ფიქსაცია ბარძაყის ციბრუტოვანი ღეროთი

ეს წარმოშობდა სტრესს ლურსმნის დისტალურ წვეროსთან და შედეგად – კორტიკალურ პიპერტროფიას, რაც აღნიშნულ იქნა რენტგენ

ნოლოგიურად [18]. მეორე თაობის ლურსმანი ასევე მოითხოვს დიდ ძალებს მოძრაობა-დინამიზაციის ინიცირებისთვის, ვიდრე ამას მოითხოვს ბარძაყის მოძრავე ხრახნი [29].

პარდის მიხედვით, იმისათვის რათა ქირურგებმა აითვისონ აუცილებელი უნარები მეორე თაობის ინტრამედულარული ლურსმნის გამოყენებისთვის, საჭირო იყო დაახლოებით 25 ოპერაციის ჩატარება [18]. მეორე თაობის სხვა ლურსმნების რიცხვში შედის ბარძაყის პროქსიმალური ლურსმანი (სინთეზ-სტრატეკ, ობერდროფ, შვეიცარია) და ბარძაყის ციბრუტოვანი ლურსმანი (სურ. 15) (სინთეზი აშშ, პაოლი, პენსილვანია).

### **მეორე თაობის ინტრამედულარული კონსტრუქცია**

მადსენმა აღმოაჩინა, რომ მათი 86 პაციენტის 98%-ს შეუძლია ფიზიოლოგიური დატვირთვის ატანა ფიქსირებულ კონსტრუქციაზე ოპერაციიდან ექვსი თვის შემდეგ [36]. შევალიმ და გამბამ აღმოაჩინეს, რომ პაციენტების 100%-მა ფიზიოლოგიური დატვირთვის ატანა შესძლო ოპერაციიდან 7.2 თვის შემდეგ [10].

კლინიკური მარცხის მაჩვენებელი მეორე თაობის ლურსმნის გამოყენებით 0%-დან 4.5%-მდე შემცირდა [1, 3, 8, 18, 50]. საუდანმა 100 პაციენტში გამოიყენა ბარძაყის პროქსიმალური ლურსმანი, როცა არ დაფიქსირებულა ბარძაყის არც ერთი მოტეხილობა [50]. მეორე თაობის ლურსმნით ბარძაყის თავში ამოჭრა რჩებოდა პროცენტულად იგივე, როგორც ეს იყო პირველი თაობის ლურსმნის შემთხვევაში – იგი მერყეობდა 2.5%-დან 8.3%-მდე [1, 3, 8, 18, 50]. და მიუხედავად თეორიულად გაზრდილი ძალებისა, რომელიც საჭირო იყო მოძრაობა-დინამიზაციისთვის, არ დადგინდა, რომ მეორე თაობის ინტრამედულარული კონსტრუქციის მიერ ბარძაყის თავში ამოჭრის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა მოძრავე მენჯის ხრახნთან შედარებით [3].

ალინიშნა, რომ ბარძაყის მიდამოში ტკივილი წარმოიქმნა 0%-დან 14%-მდე შემთხვევებში [8, 18]. აღამსმა დაადასტურა მწვერვალი-დაბოლოების დიამეტრის სარგებლიანობა (სურ. 11-ა და 11-ბ) მეორე თაობის ღეროს წარუმატებლობა-მარცხის წინასწარი პროგნოზირებისთვის [3].

აღამისს მიერ ფუნქციური შედეგების ხანგრძლივი შესწავლისას პაციენტების 44% დადიოდა დამოუკიდებლად ან ხელჯოხით ოპერაციიდან ერთი წლის ბოლოს [3]. ბაუმგარტენერმა ანგარიშში აღნიშნა, რომ პაციენტების 71% დაუბრუნდა სიარულის სტატუსს ტრავმამდე – საშუალოდ 28 თვეში და 70% დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ სტატუსს [6, 7]. პარდიმ აღმოაჩინა, რომ 50 პაციენტის 23% შეძლო დამოუკიდებლად სიარული, 45%-ს დასჭირდა ყავარჯენი, 23%-ს – სასიარულო მექანიზმი ან სხვა დამხმარე და 8%-ს ვერ შეძლო სიარული ოპერაციიდან ერთ წელიწადში [18]. პარდიმ თავის ანგარიშში ასევე აღნიშნა, რომ პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ ინტრამედულარული ლურსმნით, პქონდათ მობილობის უკეთესი მაჩვენებელი ერთ წელიწადში, ვიდრე მათ, ვისაც მკურნალობა ჩაუტარდა ბარძაყის მოძრავე ჭანჭიკით. ისინი ფიქრობდნენ, რომ კიდურის სიმოკლის შემცირება პაციენტებში, რომელთაც

მკურნალობა ჩაუტარდათ ინტრამედულარული კონსტრუქციით, არის უკეთესი მობილობის მაჩვენებლის სავარაუდო ახსნა.

### **ბარძაყის მოძრავი ხრახნის შედარება პირველი თაობის ინტრამედულარულ ლურსმანთან**

ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკი შედარებულ იქნა პირველი თაობის გამა ლურსმანთან ორ პროსპექტულ, რანდომიზებულ კვლევაში. ბრიდლმა აღმოაჩინა, რომ განსხვავება არ დაფიქსირდა ორ კონსტრუქციას შორის ოპერაციის დროის, სისხლის დანაკარგის, ჭრილობის გართულების, ჰოსპიტალში ყოფნის დროისა და პაციენტის მობილობის მხრივ [9]. აღმოჩნდა, რომ გამა ლურსმანს აქვს ბარძაყში განთავსების უფრო კარგი უნარი, ვიდრე ბარძაყის დინამიკურ ხრახნს. გამა ლურსმნის ამოჭრის მაჩვენებელი იყო 4%, ბარძაყის დინამიკურ ხრახნთან შედარებით (5.8%). პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ გამა ლურსმნით, აღენიშნათ 8% ბარძაყის მოტეხილობა, მათ შორის იგულისხმება სამი მოტეხილობა, გამოწვეული მინიმალური ტრავმით.

კვლევაში, რომელიც მოიცავდა 186 პაციენტს, ლეუნგმა აღმოაჩინა, რომ ინდივიდები, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ გამა ლურსმნით, აღენიშნათ სისხლის ნაკლები დანაკარგი და ადრე შექმლეს სრული დატვირთვით გადაადგილება, ვიდრე მათ, ვისაც მკურნალობა ჩაუტარდა ბარძაყის დინამიკური ხრახნით [31]. მკურნალობის ორივე მეთოდი ასოცირდებოდა მსგავს პოსტოპერაციულ გართულებებთან, მიუხედავად იმისა, რომ ბარძაყის ორ აღრიცხულ მოტეხილობას ადგილი ჰქონდა პაციენტების ჯგუფში, სადაც მკურნალობა ჩატარდა გამა ლურსმნით. ინტრაოპერაციული გართულებების გაზრდილი მაჩვენებელი აღმოჩნდა პაციენტებში, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ გამა ლურსმნით, მაგრამ მოიაზრებოდა, რომ ის იყო მეორადი, გამომდინარე მოსახლეობის ბარძაყის მცირე ზომის გამო. ორივე ჯგუფს ჰქონდა სიკვდილიანობის მსგავსი მაჩვენებელი ექვს თვეზე და საბოლოო ფუნქციური შედეგები.

აღინუსხა რამდენიმე პროსპექტული, რანდომიზებული შედარებითი კვლევა ბარძაყის კომპრესიულ ხრახნსა და მეორე თაობის ინტრამედულარული ლურსმანს შორის (ცხრილი 1).

სხვადასხვა კვლევებით შედარებულ იქნა შედეგები, მიღებული სხვადასხვა კონსტრუქციის იმპლანტების გამოყენებით. კვლევაში, რომელიც შესადარებლად იყო ჩატარებული ბარძაყის დინამიკური ჭანჭიკით და ციბრუტების მასტაბილიზებელი ფირფიტით გამა ლურსმანთან და ბარძაყის კომპრესიულ ხრახნთან, მადსენმა აღმოაჩინა, რომ პაციენტების 91%, რომელთაც ჩაუტარდა მკურნალობა ბარძაყის დინამიკური ხრახნით და ციბრუტოვანი მასტაბილიზებელი ფირფიტით, ბარძაყის კომპრესიული ხრახნით ნამკურნალები პაციენტების 73% და გამა ლურსმნით ნამკურნალები პაციენტების 69% დაუბრუნდნენ მოტეხილობამდე არსებული დამოუკიდებლობის დონეს [36]. ოლსონმა ჩატარა პროსპექტული, რანდომიზებული შედარებითი კვლევა მედოფის ფირფიტის და ბარძაყის კომპრესიული ჭანჭიკის გამოყენებას შორის [41]. მათ აღმოაჩინეს, რომ საოპე-


რაციო ოთახში მედოფის ფირფიტის ჩასასმელად საჭირო იყო ნაკლები დრო. უმეტესი მოტეხილობის დაჯდომა (settling) ასოცირდა ბარძაყის კომპრესიულ ხრახნთან. ასევე მედოფის ფირფიტასთან ასოცირდა ბარძაყის მეტიდამოკლება, ფიქსაციის წარუმატებლობა-მარცხი ასოცირდება ბარძაყის კომპრესიულ ხრახნთან. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად აღინიშნა მხოლოდ ბარძაყის დამოკლება და ფიქსაციის მაჩვენებელი ( $p = 0.03$ ). უატსონმა პროსპექტული, რანდომიზებული შედარებითი კვლევისას მედოფის ფირფიტასა და ბარძაყის კომპრესიულ ჭანჭიკს შორის, აღმოაჩინა, რომ ბარძაყის კომპრესიული ხრახნით მკურნალობა მოითხოვს ნაკლებ ოპერაციულ დროს და ასოცირდება სისხლის ნაკლებ დანაკარგთან [53]. არასტაბილური მოტეხილობის ნიმუშების შემთხვევებში, ფიქსაციის წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებელი ( $p = 0.01$ ) დადგინდა ბარძაყის კომპრესიული ხრახნისას. არ იყო განსხვავება მოტეხილობის იმპაქციაში ორ კონსტრუქციას შორის და აგრეთვე დროში, ვიდრე პაციენტებმა არ დაიბრუნეს მათი ოპერაციამდე არსებული მოძრაობის უნარი.

**ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობები შებრუნებული ირიბი (Reverse obliquity) ხაზით**

იმ დროს, როდესაც იმპლანტის არჩევანი AO/OTA 31 AI და 31 A2 მოტეხილობების ოპერაციული მკურნალობისთვის რჩება სადაო, AO/OTA 31 A3 მოტეხილობის შემთხვევაში თითქმის ყველაფერი ნათელია. ციბრუტებზე გამავალი შებრუნებული ირიბი მოტეხილობებისას ბარძაყის დინამიკური ხრახნით ფიქსაციის წარუმატებლობა პროგნოზირებადია (სურ. 16). ლობომ და თანამშრომლებმა გამოიყენეს გვაშირი მოდელი თეორიული ბიომექანიკური უპირატესობის საჩვენებლად ინტრამედულარული იმპლანტის ორივე – 95<sup>0</sup> დინამიკურ ხრახნზე გვერდითი ფირფიტით და ბარძაყის დინამიკურ ხრახნზე [32]. პროსპექტული კვლევისას სადოვსკიმ შეადარა ბარძაყის პროქსიმალური ლურსმანი (სინთეზ – სტრატეკი) 95<sup>0</sup> დინამიკურ კომპრესიულ ხრახნს [51] (სურ. 17) და მან აჩვენა, რომ ინტრამედულარულ ლურსმანს აქვს ნათელი კლინიკური უპირატესობა ციბრუტებზე გამავალი შებრუნებული ირიბი მოტეხილობების მკურნალობისას. მათ აღმოაჩინეს მარცხი/შეუხორცებლობა 36%-ში ხრახნიანი ფირფიტით მკურნალობისას 5%-თან შედარებით, რომელიც დაფიქსირდა ბარძაყის პროქსიმალური ლურსმნით მკურნალობისას.



სურ. 16. შებრუნებული-ირიბი მოტეხილობის ფიქსაცია დინამიკური ჭანჭიკით, რომელიც გართულდა ჭარბი კოლაფსით და ბარძაყის მედიალიზაციით



სურ. 17. შებრუნებული-ირიბი მოტეხილობის პროგნოზირებადი კოლაფსი, რომლის მკურნალობაც მოხდა დინამიკური კონდილარული ხრახნის კონსტრუქციით

მკურნალობა ბარძაყის პროქსიმალური ღურსმნით საჭიროებდა ნაკლებ ოპერაციულ დროს, ნაკლებ ტრანსფუზიას და ჰოსპიტალში ყოფნის მოკლე პერიოდს [51].

## მიზილივა

ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მკურნალობის უამრავი მეთოდი არსებობს, პერკუტანული ინტრამედულარული ღეროებით დაწყებული და დამთავრებული – ისტორიული ღია რეპოზიცია და ბარძაყის დინამიკური ხრახნით ფიქსაციამდე. სხვადასხვა იმპლანტების უამრავი კვლევის მიუხედავად, მათ შორის იგულისხმება ინტრამედულარული კონსტრუქციები და სხვადასხვა ხრახნები გვერდითი ფირფიტებით, არც ერთ კონსტრუქციას არ უწევნებია კლინიკური უპირატესობა დინამიკურ ბარძაყის ხრახნთან შედარებით, სტაბილური ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მკურნალობისას. ფაქტიურად, ღირებულებისა და ეფექტურობიდან გამომდინარე, დინამიკური ბარძაყის ხრახნს აქვს მკვეთრი უპირატესობა სხვა იმპლანტებთან შედარებით. ნებისმიერი საფიქსაციო კონსტრუქცია უნდა იძლეოდეს მოტეხილობის შესაბამის სტაბილურობას ადრეული მობილიზაციისა და დატვირთვისთვის.

იმპლანტების არჩევანი არასტაბილური ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მკურნალობისთვის AO/OTA კლასიფიკაციით 31A2.2 და A2.3 ნაკლებად ნათელია. ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობების შეფასება გეიხვენებს რამდენიმე განსხვავებას სხვადასხვა იმპლანტებს შორის, მოტეხილობის შეხორცებიდან და ფიზიოლოგიური დატვირთვიდან გამომდინარე. იმპლანტის კატასტროფული მარცხის თავიდან ასაცილებლად, რასაც წარმოადგენს ხრახნის ამოჭრა, აუცილებელია ქირურგმა სწორად ჩასვას ხრახნი სათანადო ცენტრი-ცენტრი პოზიციაზე ბარძაყის თავში.

პაციენტებში ფუნქციური შედეგების განმარტება და შეფასება არასტაბილური ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობისას მეტად

კომპლექსურია. საბოლოო წარმატება ნაკლებად ნათელია და უცილობლად დაკავშირებულია პაციენტის დაზიანებამდე არსებულ ფუნქციურ და სამედიცინო სტატუსთან.

ინტრამედულარული იმპლანტს აქვს თეორიული ბიოქიმიური უპირატესობები არასტაბილური ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი მოტეხილობის მკურნალობისას მათი ინტრამედულარული განთავსების და ჭანჭიკის ჭარბი მოძრაობის შემცირება-დათრგუნვის გამო. ზოგიერთი პროსპექტული კვლევა, რომელიც განხორციელდა ინტრამედულარული იმპლანტის შედეგების შედარებით ბარძაყის მოძრავ ხრახნთან, არ შეიძლება კრიტიკულად იქნას შედარებული, მათი არსობრივი განსხვავებიდან გამომდინარე, მოტეხილობის ტიპების მიხედვით (სტაბილური და არასტაბილური), რომელიც, თავის მხრივ, არ იყო აღნუსხული. 1998 წელს. პარდიმ გვიჩვენა, რომ ინტრამედულარული იმპლანტი უზრუნველყოფდა ფუნქციურ უპირატესობას პაციენტების მობილურობის გაუმჯობესებაში ოპერაციის შემდგომ ერთ და სამ თვეზე; თუმცა განსხვავება არ იქნა აღმოჩენილი ერთი წლის თავზე ოპერაციის შემდგომ [18]. კვლავაც არათვალნათელი რჩება, ამართლებს თუ არა ინტრამედულარული იმპლანტის თეორიული სარგებელი დამატებით ხარჯებს. უფრო მეტიც, უცნობია მენჯ-ბარძაყის გამზიდველ კუნთებში ინტრამედულარული იმპლანტის განთავსების შესაძლო მანევრ ეფექტი. ფუნქციური შედეგების კვლევა საჭიროა ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი არასტაბილური მოტეხილობის მქონე ასაკოვან პაციენტებში, რათა განისაზღვროს ინტრამედულარული იმპლანტის თეორიული უპირატესობის მართებულობა მისი კლინიკური რუტინული გამოყენებისთვის. ერთი აღსანიშნავი გამოწკლისი არის ბარძაყის ციბრუტებზე გამავალი შებრუნებული-ირბი მოტეხილობა, რომლის დროს ამ კონსტრუქციას ნათელი უპირატესობა აქვს. ფენგმა დაასკვნა, რომ დინამიკური ჭანჭიკის სპირალურმა დიზაინმა ბარძაყის თავში იმპლანტის მიგრაციის რისკი შეიძლება შეამციროს, მაგრამ მნიშვნელოვნად არ ამცირებს იმპლანტის ბარძაყის თავიდან ჭრას და განმეორებითი ოპერაციის საჭიროებას [15].

მოტეხილობის სრულყოფილი რეპოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგისთვის [15]. ბარძაყის პროქსიმალური სპირალური ჭანჭიკის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე სტანდარტული დინამიკური ჭანჭიკის. ამასთან, მას შესაძინევა ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ინტრამედულარ კონსტრუქციებს [33]. ვინაიდან სტანდარტული ჭანჭიკები წარმატებით გამოიყენება AO/OTA 31-A1 მოტეხილობების დროს, ხოლო ინტრამედულარული კონსტრუქციები კვლევებით ნაჩვენებია AO/OTA 31-A3 მოტეხილობებზე – შეიძლება ბარძაყის დინამიკური სპირალური ჭანჭიკი ასევე წარმატებით იქნას გამოყენებული AO/OTA 31-A2 ტიპის მოტეხილობების დროსაც [33].

მომავალში სასურველია ჩატარდეს მეტი კლინიკური კვლევა დინამიკურ სპირალურ ჭანჭიკზე, რათა განისაზღვროს მისი როლი AO/OTA 31-A2 ტიპის მოტეხილობების დროს.

## ლიტერატურა

1. Adams C.I., Robinson C.M., Court-Brown C.M., Mc Queen M.M. J. Orthop. Trauma, 2001, 15, 394-400.
2. Ahrengart L., Tornkvist H., Fornander P., Thorngren K.G., Pasanen L., Wahlstrom P., Honkonen S., Lindgren U. Clin. Orthop., 2002, 401, 209-22.
3. Apple D.F. Jr, Hayes W.C., editors. Prevention of falls and hip fractures in the elderly. Rosemont, IL, American Academy of Orthopaedic Surgeons, 1993.
4. Babst R., Renner N., Biedermann M., Rosso R., Heberer M., Harder F., Regazzoni P. J. Orthop. Trauma, 1998, 12, 392-9.
5. Baixauli F., Vicent V., Baixauli E., Serra V., Sanchez-Alepuz E., Gomez V., Martos F. Clin. Orthop., 1999, 361, 205-15.
6. Baumgaertner M.R., Curtin S.L., Lindskog D.M., Keggi J.M. J. Bone Joint Surg. Am., 1995, 77, 1058-64.
7. Baumgaertner M.R., Curtin S.L., Lindskog D.M. Clin. Orthop., 1998, 348, 87-94.
8. Bridle S.H., Patel A.D., Bircher M., Calvert P.T. J. Bone Joint Surg. Br., 1991, 73, 330-4.
9. Butt M.S., Krikler S.J., Nafie S., Ali M.S. Injury, 1995, 26, 615-8.
10. Chevalley F., Gamba D. J. Orthop. Trauma, 1997, 11, 412-5.
11. Cummings S.R., Rubin S.M., Black D. Clin. Orthop., 1990, 252, 163-6.
12. Dimon J.H., Hughston J.C. J. Bone Joint Surg. Am., 1967, 49, 440-50.
13. Ellis T.J., Kyle R.F. The results of open reduction internal fixation of a highly unstable intertrochanteric hip fracture with a dynamic hip screw. Presented as a poster exhibit at the Annual Meeting of the American Academy of Orthopaedic Surgeons, 2000, Mar. 15-19, Orlando, FL.
14. Evans E.M. J. Bone Joint Surg. Br., 1949, 31, 190-203.
15. Fang C., Lau T.W., Wong T.M., Lee H.L., Leung F. J. Bone Joint, 2015, 97-B(3), 398-404.
16. Griffin J.B. Clin. Orthop., 1982, 164, 211-4.
17. Hardy D.C., Descamps P.Y., Krallis P., Fabeck L., Smets P., Bertens C.L., Delince P.E. J. Bone Joint Surg. Am., 1998, 80, 618-30.
18. Hardy D.C., Drossos K. Clin. Orthop., 2003, 406, 176-84.
19. Hedlund R., Lingren U., Ahlbom A. Clin. Orthop., 1987, 222, 132-9.
20. Jacobs R.R., Mc Clain O., Armstrong H.J. Clin. Orthop., 1980, 146, 62-70.
21. Jensen J.S., Sonne-Holm S., Tondevold E. Acta Orthop. Scand., 1980, 51, 949-62.
22. Joseph T.N., Chen A.L., Kummer F.J., Koval K.J. J. Trauma, 2002, 52, 544-7.
23. Kim W.Y., Han C.H., Park J.I., Kim J.Y. Int. Orthop., 2001, 25, 360-2.
24. Kosygan K.P., Mohan R., Newman R.J. J. Bone Joint Surg. Br., 2002, 84, 19-22.
25. Koval K.J., Skovron M.L., Polatsch D., Aharonoff G.B., Zuckerman J.D. J. Orthop. Trauma, 1996, 10, 531-5.
26. Koval K.J., Skovron M.L., Aharonoff G.B., Zuckerman J.D. Clin. Orthop., 1998, 348, 22-8.
27. Kyle R.F., Gustilo R.B., Premer R.F. J. Bone Joint Surg. Am., 1979, 61, 216-21.
28. Kyle R.F., Cabanela M.E., Russell T.A., Swiontkowski M.F., Winquist R.A., Zuckerman J.D., Schmidt A.H., Koval K.J. Instr. Course Lect., 1995, 44, 227-53.
29. Leung K.S., So W.S., Shen W.Y., Hui P. J. Bone Joint Surg. Br., 1992, 74, 345-51.
30. Leung F., Gudushauri P., Yuen G., Tak-Wing Lau, Fang Ch., Shew-Ping Chow. Journal of Orthopaedic Surgery, 2012, 20(3), 302-6.
31. Lobo J.J.A., Kuzyk P.R.T., Whelan D., Aksenov S.A., Schemitsch E.H. Biomechanical comparison of intramedullary and extramedullary fixation for reverse obliquity intertrochanteric femoral fractures. Presented as a poster exhibit at the Annual Meeting of the Orthopaedic Trauma Association, 2000, Oct. 12-14, San Antonio, TX.



32. *Loch D.A., Kyle R.F., Bechtold J.E., Kane M., Anderson K., Sherman R.E.* J. Bone Joint Surg. Am., 1998, 80, 1626-31.
33. *Lunsjo K., Ceder L., Thorngren K.G., Skytting B., Tidermark J., Berntson P.O., Allvin I., Norberg S., Hjalmarsson K., Larsson S., Knebel R., Hauggaard A., Stigsson L.* Acta Orthop. Scand., 2001, 72, 133-40.
34. *Madsen J.E., Naess L., Aune A.K., Alho A., Ekeland A., Stromsoe K. J.* Orthop. Trauma, 1998, 12, 241-8.
35. *Marottoli R.A., Berkman L.F., Leo-Summers L., Cooney L.M.Jr.* Am. J. Public Health, 1994, 84, 1807-12.
36. *Medoff R.J., Maes K. J.* Bone Joint Surg. Am., 1991, 73, 1192-9.
37. *Melton L.J. 3rd, Ilstrup D.M., Riggs B.L., Beckenbaugh R.D.* Clin. Orthop., 1982, 162, 144-9.
38. *Müller-Farber J., Wittner B., Reichel R.* Unfallchirurg., 1988, 91, 341-50.
39. *Olsson O., Kummer F.J., Ceder L., Koval K.J., Larsson S., Zuckerman J.D.* Acta Orthop. Scand., 1998, 69, 266-72.
40. Orthopaedic Trauma Association Committee for Coding and Classification. Fracture and dislocation compendium. J. Orthop. Trauma, 1996, 10 (Suppl 1), 1-154.
41. *Owen R.A., Melton L.J. 3rd, Gallagher J.C., Riggs B.L.* Clin. Orthop., 1980, 150, 172-6.
42. *Parker M.J., Pryor G.A.* Int. Orthop., 1996, 20, 163-168.
43. *Parker M.J., Pryor G.A.* Int. Orthop., 1996, 20, 168-170.
44. *Rha J.D., Kim Y.H., Yoon S.I., Park T.S., Lee M.H.* Int. Orthop., 1993, 17, 320-4.
45. *Rosenblum S.F., Zuckerman J.D., Kummer F.J., Tam B.S.* J. Bone Joint Surg. Br., 1992, 74, 352-7.
46. *Sadowski C., Lubbeke A., Saudan M., Riand N., Stern R., Hoffmeyer P.* J. Bone Joint Surg. Am., 2002, 84, 372-81.
47. *Sarmiento A.* Valgus osteotomy technique for unstable intertrochanteric fractures. In: The hip: proceedings of the third open scientific meeting of the Hip Society. St. Louis: CV Mosby, 1975, 157-69.
48. *Sattin R.W.* Ann. Rev. Public Health, 1992, 13, 489-508.
49. *Saudan M., Lubbeke A., Sadowski C., Riand N., Stern R., Hoffmeyer P.* J. Orthop. Trauma, 2002, 16, 386-93.
50. *Simpson A.H., Varty K., Dodd C.A.* Injury, 1989, 20, 227-31.
51. *Sommers M.B., Roth C., Hall H., Kam B.C., Ehmke L.W., Krieg J.C. et al.* J. Orthop. Trauma, 2004, 18, 361-8.
52. *Steinberg G.C., Desai S.S., Kornwitt N.A., Sullivan T.J.* Orthopaedics, 1988, 11, 265-73.
53. *Wahner D., Gudushauri P., Schiuma D., Richards G., Windolf M.* Clin. Biomech. (Bristol, Avon), 2010, 25, 1053-7.
54. *Watson J.T., Moed B.R., Cramer K.E., Kargos D.E.* Clin. Orthop., 1998, 348, 79-86.
55. *Windolf M., Braunstein V., Dutoit C., Schwieger K.* Clin. Biomech. (Bristol, Avon), 2009, 24, 59-64.
56. *Windolf M., Muths R., Braunstein V., Gueorguiev B., Hanni M., Schwieger K.* Clin. Biomech. (Bristol, Avon), 2009, 24, 53-8.
57. *Zuckerman J.D., Skovron M.L., Koval K.J., Aharonoff G., Frankel V.H.* J. Bone Joint Surg. Am., 1995, 77, 1551-6.

## ПЕРЕЛОМЫ (МЕЖВЕРТЕЛЬНЫЕ) ПРОКСИМАЛЬНОЙ ЧАСТИ БЕДРА – СОВРЕМЕННЫЙ МЕНЕДЖМЕНТ, СОВРЕМЕННЫЕ КОНСТРУКЦИИ И ПОКАЗАНИЯ К ИХ ПРИМЕНЕНИЮ

*П. Гудушаури<sup>1</sup>, Т. Нозадзе<sup>2</sup>, М. Зимлицкий<sup>1</sup>, Л. Чантурия<sup>3</sup>,  
М. Пирпилашвили<sup>1</sup>*

<sup>1</sup>АО Траума, Тбилиси; <sup>2</sup>Тбилисский государственный медицинский университет; <sup>3</sup>Тбилисская медицинская Академия им. Петре Шотадзе

### РЕЗЮМЕ

Ежегодно в США регистрируются приблизительно 250.000 случаев проксимального перелома бедра. Предполагается, что к 2040 году этот показатель увеличится до 500.000. Текущие расходы составляют 10 миллиардов долларов в год. В 9 случаях из 10 перелом проксимальной части бедра выявляется у пациентов в возрасте свыше 65 лет и приблизительно 3/4 этих пациентов составляют женщины. Почти половина этих повреждений является межвертельным.

Современное стандартное лечение – это операционное – открытая репозиция, внутренняя фиксация с экстрамедуллярной и интрамедуллярной конструкциями. Хотя, в поздних случаях можно провести и эндопротезирование.

В последние годы предоставлены винты спиральной конфигурации. В результате биомеханических исследований установлено их преимущество по сравнению со стандартными динамическими винтами.

Динамические стандартные винты бедра успешно используются при лечении переломов АО/ОТА 31-A1 типа. Преимущество интрамедуллярных конструкций показано в исследованиях переломов типа АО/ОТА 31-A3. При переломах АО/ОТА 31-A2 типа успешно можно применить динамический спиральный винт бедра. В будущем желательно проводить больше клинических исследований по использованию динамического спирального винта для определения его роли при переломах АО/ОТА 31-A2 типа.

## INTERTROCHANTERIC FRACTURES OF HIP PROXIMAL PART – MODERN MANAGEMENT, MODERN CONSTRUCTIONS AND INDICATIONS FOR THEIR USE

*P. Gudushauri<sup>1</sup>, T. Nozadze<sup>2</sup>, M. Zimlitsky<sup>1</sup>, L. Chanturia<sup>3</sup>, M. Pirpilashvili<sup>1</sup>*

<sup>1</sup>АО “Trauma”, Tbilisi; <sup>2</sup>Tbilisi State Medical University; <sup>3</sup>Petre Shotadze Tbilisi Medical Academy

### SUMMARY

Approximately 250.000 cases of hip proximal fracture are annually registered in USA and by 2040 this index will increase to 500.000. The current expenses make up 10 billion dollars in year. Nine times out of ten cases hip proximal fracture is revealed in the patients aged over 65 years and

approximately  $\frac{3}{4}$  of these patients are women. Nearly half of these injuries appears to be intertrochanteric.

Modern standard treatment – operational – open reposition, internal fixation with extramedullary and intramedullary constructions. Though, in late cases it is also possible to conduct endoprosthesis.

In recent years the screws of spiral configuration have been offered. As a result of the biomechanical researches their advantage has been established as compared to standard dynamic screws.

The hip dynamic standard screws are successfully used in the treatment of AO/OTA 31-A1 type fractures. The advantage of intramedullary constructions are shown in the investigations of AO/OTA 31-A3 type fractures. At AO/OTA 31-A2 type fractures it is possible to apply a hip dynamic spiral screw. In the future, it is desirable to conduct more clinical investigations on the use of dynamic spiral screw for the determination of its role at AO/OTA 31-A2 type fractures.

## კბილის კარიესის გავრცელება კახეთის რეგიონის სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში

*მ. ხარაბაძე, რ. ხეცურიანი, მ. ბეთანელი, ც. ხომერიკი,  
 ა. შუკაკიძე, მ. ფხალაძე, მ. არაბული*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

კვლევა ჩატარდა კბილის კარიესის და თანკბილვის ანომალიების გავრცელების შესწავლის მიზნით კახეთის რეგიონის სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში. საკვლევ კონტინგენტს შეადგენდა ქ. თელავსა ( $n = 613$ ) და თელავის რაიონის სოფლებში ( $n = 241$ ) მცხოვრები 6-18 წლის ასაკის 854 მოსწავლე – 437 ვაჟი და 417 გოგონა. აღწერილია თითოეული ბავშვის და მოზარდის კარიესული და დაბუნეილი კბილების რაოდენობა, გამოვლენილია თანკბილვის ანომალიები. კბილის კარიესი დაფიქსირდა საკვლევი კონტინგენტის 52.16%-ში, რაც კარიესის საშუალო გავრცელების მაჩვენებელია, დაბუნეილი კბილები (კბილი) აღმოაჩნდა მხოლოდ 10.65%-ს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ექიმ-სტომატოლოგს აკითხავს ბავშვთა და მოზარდთა 20.4%. კარიესის გავრცელების მაჩვენებლები მაღალია სოფლის მაცხოვრებელ მოსწავლეებში (59.3%) და პრევალირებს ვაჟებში. 16-18 წლის ასაკის, მუდმივი კბილების მქონე ქალაქელ ვაჟებში ფიქსირდება კარიესის გავრცელების დაბალი მაჩვენებელი (26.9%). რაც შეეხება სოფლის მოზარდებს, ეს მაჩვენებელი მაღალია ორივე სქესის მოსწავლეებში (55%).

თანკბილვის ანომალია (პროგნია, პროგნათია და ჯვარედინი თანკბილევა) გამოვლენილია მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 3.43%, სოფლის მაცხოვრებელი ბავშვების 4.19%, ქალაქელი მოსწავლეების 3.1% და პრევალირებს გოგონებში, შესაბამისად, უფრო ხშირია სოფლის მაცხოვრებელ მოსწავლეებში. ჩვენი მონაცემები შედარებულია რუსეთში, სომხეთში, ბრაზილიასა და ჩინეთში ჩატარებული ანალოგიური კვლევების მონაცემებთან, რამაც აჩვენა, რომ კბილის კარიესის გავრცელების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: კარიესი, თანკბილევა, ანომალიები, ქალაქი, სოფელი

კბილის კარიესი და პაროდონტის დაავადებები რიგი სომატური დაავადებების განვითარების რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს. აღნიშნულის გამო განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა ასაკში კბილების მდგომარეობის შესწავლას [1]. ჯანმოს-ს მონაცემებით, ბავშვებში კარიესი და პაროდონტის დაავადებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა მათი გავრცელება და ინტენსიურობა მნიშვნელოვნად განსხვავდება

სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში [3, 5]. აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობის განვითარებაზე გავლენას ახდენს ასაკი, სქესი, გენეტიკური ფაქტორები, კვება, კლიმატური და საყოფაცხოვრებო პირობები, ღღის რეჟიმი, ჰიგიენა და სხვ. [2, 4, 6, 7].

### მასალა და მეთოდები

ჩვენ მიერ გამოკვლეულია ქ. თელავსა (n=613) და თელავის რაიონის სოფლებში (n=241) მცხოვრები 6-18 წლის ასაკის (n = 854) ვაჟი (n=437) და გოგონა (n=417). ასაკის მიხედვით მოსწავლეთა დაყოფა მოხდა სამ ჯგუფად: I – 6-11 წლის უმცროსი სასკოლო ასაკი (n=400), II – 12-15 წლის საშუალო სასკოლო (n=242) და III – 16-18 წლის უფროსი სასკოლო ასაკი (n=212). ჩატარდა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ალვეოლური მორჩების დათვალიერება, აღწერილია თითოეული ბავშვის და მოზარდის კარიესული და დაბუენილი კბილების რაოდენობა, გამოვლენილია თანკბილვის ანომალიები.

### შედეგები და მათი განხილვა

კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ I და II ასაკობრივ ჯგუფებში პაროდონტოზის არსებობა არ აღინიშნება. III ასაკობრივ ჯგუფში მსუბუქი ხარისხის პაროდონტიტი (ლორწოვანის ჰიპერემია) გამოვლენილია მხოლოდ 2 მოზარდთან (0.23%). კბილის კარიესი დაფიქსირდა საკვლევი კონტინგენტის 52.16%-ში, რაც კარიესის საშუალო გავრცელების მაჩვენებელია. ზემოთ აღნიშნულ ჯგუფში დაბუენილი კბილები (კბილი) აღმოაჩნდა მხოლოდ 10.65%-ს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ექიმ-სტომატოლოგს აკითხავს ბავშვთა/მოზარდთა 20.4% (ცხრილი 1).

ცხრილი 1

კბილის კარიესის და თანკბილვის ანომალიების გავრცელების პროცენტული მაჩვენებლები ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ გოგონებსა და ვაჟებში


	კარიესის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა (%)		თანკბილვის ანომალიების გავრცელების რაოდენობა (%)	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
ვაჟი	51.02	57.5	1.29	1.19
გოგონა	48.9	42.4	1.8	2.99
სულ	99.9	99.9	3.1	4.19

როგორც ცხრილიდან ჩანს, კარიესის გავრცელების მაჩვენებლები მაღალია სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებში (59.3%) და პრევალირებს



ვაჟებში. თანკბილვის ანომალია (პროგენია და პროგნათია და ჯვარედინი თანკბილვა) გამოუვლინდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 3.43%-ს, სოფლის მაცხოვრებელი ბავშვების 4.19%-ს, ქალაქელი მოსწავლეების 3.1%-ს და პრევალირებს გოგონებში. შემთხვევათა 21%-ში გამოვლინდა პროგენია, 77.9%-ში – პროგნათია, ხოლო 1.1%-ში – ჯვარედინი თანკბილვა. 6-11 წლის ბავშვებში, ცვლადი თანკბილვის პერიოდში (I ასაკობრივი ჯგუფი) თანკბილვის ანომალია დაფიქსირდა შემთხვევათა 31.6%-ში, ხოლო 12-18 წლის მოზარდებში, მუდმივი ფორმირებადი თანკბილვის პერიოდში (II და III ასაკობრივი ჯგუფები) – შემთხვევათა 68.42%-ში.

კარიესული კბილების გავრცელების პროცენტული რაოდენობა ასაკის მიხედვით ქალაქის და სოფლის მაცხოვრებელ გოგონებსა და ვაჟებში მოცემულია სურათებზე.




სურ. 1. კბილების კარიესის პროცენტული განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით ქალაქელ ბავშვებში

ცხრილი 2

**კარიესის გავრცელება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალაქსა და სოფელში**

	ქალაქი			სოფელი	
	ვაჟი (%)	გოგონა (%)		ვაჟი (%)	გოგონა (%)
6-11 წელი	64.9	53.77	6-11 წელი	69.81	76.66
12-15 წელი	31.9	37.5	12-15 წელი	46.66	41.17
16-18 წელი	26.9	39.1	16-18 წელი	60	50



სურ. 2. კბილების კარიესის პროცენტული განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით სოფლის მაცხოვრებელ ბავშვებში

როგორც ცხრილიდან ჩანს, კარიესის გავრცელების პროცენტული მაჩვენებლები სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით მაღალია უმცროსი სასკოლო ასაკის ქალაქის და სოფლის მოსწავლე ბავშვებში როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში და პრევალირებს ვაჟებში. აღნიშნული შესაძლოა დაკავშირებული იყოს ასაკობრივი განვითარების თავისებურებებთან. III ასაკობრივ ჯგუფში მუდმივი კბილების მქონე ქალაქელ ვაჟებში ფიქსირდება კარიესის გავრცელების დაბალი მაჩვენებელი (26.9%). რაც შეეხება სოფლის მოზარდებს, ეს მაჩვენებელი მაღალია ორივე სქესის მოსწავლეებში ( $55\% \pm 5.0$ ).

ჯანმო-ს მიერ მოწოდებული კლასიფიკაციის მიხედვით, კბილების განვითარების და ამოჭრის დარღვევების ერთ-ერთი მაჩვენებელია 6 წლის ასაკში პირველი მოღარების, 12 წლის ასაკში – მუდმივი კბილების მდგომარეობა. ჩვენი კვლევის შედეგად, პირველი მოღარების კარიესი გამოუვლინდა 6 წლის ასაკის ბავშვების 10%-ს, 12 წლის ასაკის ბავშვების 40%-ს აქვს მუდმივი კბილების კარიესული დაზიანებები. აღსანიშნავია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ქალაქელი ბავშვების 0.77%-ში დაფიქსირდა ფლუოროზის შემთხვევები.

**დასკვნა.** ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ თელავსა და თელავის რაიონის სოფლებში მცხოვრები სასკოლო ასაკის მთელ პოპულაციაში ფიქსირდება კბილის კარიესის გავრცელების საშუალო მაჩვენებლები. კბილის კარიესის გავრცელების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია 6 წლის, უმცროსი სასკოლო ასაკის და გვიანი

მოზარდის პერიოდის (16-18 წ.) სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებში. თანკბილვის ანომალიები უფრო ხშირია სოფლის მაცხოვრებელ ბავშვებსა და მოზარდებში.

## ლიტერატურა

1. *შინიაშვილი თ.* ბავშვთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია. თბილისი, 2004, 415 გვ.
2. *შინიაშვილი თ.* სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა. თბილისი, 2004, 194 გვ.
3. *Agaku I.T., Olutola B.G., Adisa A.O., Obadan E.M., Vardavas C.I.* Prev. Med., 2015, 6, 72C:83-88.
4. *Al-Haddad K.A., Al-Hebshi N.N., Al-Ak'hali M.S.* Int. J. Dent. Hyg., 2010, 8(2), 80-5.
5. *de Amorim R.G., Figueiredo M.J., Leal S.C., Mulder J., Frencken J.E.* Clin. Oral Investig., 2012, 16(2), 513-20.
6. *Jin-Dong Wang, Xi Chen, Jo Frencken, Min-Quan Du, Zhi Chen.* China Int. J. Oral Sci., 2012, 4(3), 157-160.

## РАСПРЕДЕЛЕНИЕ КАРИЕСА ЗУБА У ДЕТЕЙ ШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА И ПОДРОСТКОВ КАХЕТИНСКОГО РЕГИОНА

*М. Харабадзе, Р. Хецуриани, М. Бетанели, Ц. Хомерики, А. Шукакидзе, М. Пхаладзе, М. Арабули*

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

Исследование проведено с целью изучения распространения кариеса зубов и аномалии прикуса среди детей и подростков школьного возраста. Контингент обследования составили 613 жителей г.Телави и 241 жителей сел Телавского региона в возрасте 6-18 лет, из них 437 мальчиков и 417 девочек. Выявлены аномалии прикуса и кариес зубов. Кариес зубов выявлен в 52.16% наблюдений, что является средним показателем. Среди них запломбированными оказались лишь 10.65%. Это показывает, что стоматолога посещает 20.4% детей и подростков. Показатели распространения кариеса высоки среди проживающих в деревне учащихся, преобладают мальчики. Среди городских мальчиков 16-18 лет, имеющих постоянные зубы, констатируется показатель кариеса в 26.9%, что касается жителей сел, среди учащихся обоего пола показатель составил 55%.

В результате анализа аномалии прикуса, прогнатия, прогения, скрещивающийся прикус выявлены среди сельских жителей в 4.19% наблюдений, у городских жителей – в 3.1%, преобладают девочки, соответственно проживающие в сельской местности.



## THE DISTRIBUTION OF TEETH CARIES IN SCHOOL AGE CHILDREN AND ADOLESCENTS IN KAKHETI REGION

*M. Kharabadze, R. Khetsuriani, M. Betaneli, Ts. Khomeriki, A. Shukakidze, M. Pkhaladze, M. Arabuli*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

The investigation was conducted for the study of prevalence of dental caries and malocclusion among school age children and adolescents. 613 residents of Telavi (Georgia) and 241 residents of the villages of Telavi region aged 6-18 were examined, among them 437 were boys and 417 – girls. Malocclusion and dental caries have been revealed. Dental caries was manifested in 52.16% of the observations which appears to be an average index. Among them the filled teeth were noted only in 10.65%. This indicates that 20.4% of children and adolescents visit the dentists. The indices of caries prevalence are high among the school children living in the villages, and the boys prevail. Among urban boys aged 16-18 having permanent teeth, an index of caries was stated in 26.9%, as to the inhabitants of villages, among the school children of both sexes this index makes up 55%.

As a result of the analysis of occlusion, the prognathism, progeny and crossing occlusion are revealed in 4.19% of the inhabitants of villages, in 3.1% of urban residents, the girls living in rural areas prevail.

## კბილის კარიესული დაზიანებები ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს

*ნ. ჯაფარიძე, მ. კალანდიაძე, ვლ. მარგველაშვილი, თ. ჭიღლაძე*

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*შრომის მიზანია* კარიესის განვითარების რისკის დადგენა D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს.

*მასალა და მეთოდები.* შრომას საფუძვლად დაედო 18 წლის ასაკამდე 13 D ვიტამინ რეზისტენტული (I ჯგუფი) და 68 D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტის (II ჯგუფი) გამოკვლევის შედეგები. საკონტროლო ჯგუფი მოიცავდა იგივე ასაკის 61 ბავშვს. ხარისხობრივი მანვენებლებისთვის ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით F (ფიშერი) კრიტერიუმით, რაოდენობრივი მანვენებლებისთვის – სტიუდენტის t-კრიტერიუმით დამოუკიდებელი ამონაკრებისთვის. მასალა სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამების პაკეტის SPSS 22-ის საშუალებით

*შედეგები.* D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია კარიესის მიმე ფორმების სიხშირე, კბა (კარიესი + ბუენი + ამოდებული კბილი) ინდექსი და კარიესის განვითარების და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი როგორც D ვიტამინ დამოკიდებულ რაქიტთან, ისე კონტროლთან შედარებით.

*დასკვნა.* D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტი ზრდის კარიესის და კბილების დაკარგვის რისკს ბავშვებში.

**საკვანძო სიტყვები:** კარიესი, კარიესის მახასიათებლები, ვიტამინ D-ს რეზისტენტული რაქიტი

D ვიტამინის დეფიციტი ხელს უშლის ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის სრულფასოვან ცვლას. კალციუმისა და ფოსფორის ცვლის დარღვევა კი განაპირობებს მრავლობითი კარიესისა და სხვა სტომატოლოგიური პრობლემების განვითარებას [1, 2, 3, 6]. პაციენტებს ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს აღენიშნებათ ფოსფორის დაბალი შემცველობა, პარათირეოიდული ჰორმონის ნორმალური დონე, კალციუმის შემცველობა სისხლში ნორმის ფარგლებში ან ნორმაზე დაბალი, სტომატოლოგიური კუთხით კი გვხვდება: მინანქრის ჰიპოპლაზია, ხერეღარხის განვითარება ფესვის საპროექციო მიდამოში როგორც სარქვევ,

ასევე მუდმივ ინტაქტურ კბილებში, გინგივიტი, კარიესი და კბილების დაავადებული ამოჭრა [5].

**შრომის მიზანია** კარიესის განვითარების რისკის დადგენა ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს.

### **მასალა და მეთოდები**

შრომას საფუძვლად დაედო 18 წლის ასაკამდე 13 D ვიტამინ რეზისტენტული (I ჯგუფი) და 68 D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტის (II ჯგუფი) გამოკვლევის შედეგები. საკონტროლო ჯგუფი მოიცავდა იგივე ასაკის 61 ბავშვს. ჯგუფები ერთგვაროვანი იყო სქესისა და ასაკის მიხედვით. D ვიტამინ რეზისტენტული დაავადებული პაციენტების ჯგუფში – 1-5 წლის ასაკის 4, 6-12 წლის 5 და 13-18 – 4, ხოლო D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტების ჯგუფში – მდედრობითი – 40 (59%). 1-5 წლის ასაკის 30, 6-12 წლის 26 და 13-18 – 12, საკონტროლო ჯგუფში – მდედრობითი – 35 (57%), 1-5 წლის ასაკის 20, 6-12 წლის 21 და 13-18 – 20.

### **ჩართვის კრიტერიუმები**

გენეტიკურად განპირობებული ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტით და ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტები, პაციენტთა მშობლების ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვაზე.

### **გამორიცხვის კრიტერიუმები**

ნივთიერებათა ცვლის სხვა დარღვევები, ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვა ანომალიები, სისტემური დაავადებები, დიაბეტი, აუტოიმუნური დაავადებები.

სამივე ჯგუფში შესწავლილ იქნა კბილების კარიესით დაზიანების სიხშირე, კარიესის აქტიურობის ხარისხი, კარიესის ინტენსივობა, კბა ინდექსი (კარიესი+ბუენი+ამოდებული კბილი).

ხარისხობრივი მანვენებლისთვის ვითვლიდით საშუალო სიხშირეს, ჯგუფებს შორის განსხვავება ფასდებოდა F კრიტერიუმით. რაოდენობრივი მანვენებლებისთვის ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას, დისპერსიების ტოლობას გამოწმებდით ლევენის ტესტით, ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით სტიუდენტის t-კრიტერიუმით დამოუკიდებელი ამონარჩევისთვის [4].

### **შედეგები და განხილვა**

კარიესის მახასიათებელთა სიხშირეები ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის, ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში მოცემულია ცხრილში 1.

დენტინის კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს ვიტამინ D დამოკიდებულ რაქიტთან ( $F = 3.99$ ;

$p = 0.0491$ ) და კონტროლთან შედარებით ( $F = 23.63$ ;  $p = 0.0000$ ), და ასევე მეტია ვიტამინ D დამოკიდებულ რაქიტის დროს კონტროლთან შედარებით ( $F = 13.25$ ;  $p = 0.0004$ ). ცემენტის კარიესის სიხშირე ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მეტია კონტროლთან შედარებით ( $F = 7.13$ ;  $p = 0.0094$ ), ხოლო ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტის დროს ცემენტის კარიესი არ დაფიქსირდა.

ცხრილი 1

კარიესის მახასიათებელთა სიხშირეები ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის, ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში

	D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტი			D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტი			საკონტროლო ჯგუფი		
	abs	Mean	Std. Dev.	abs	Mean	Std. Dev.	abs	Mean	Std. Dev.
“ცარცისებური ღაქა“-ს სტადია	1	0.08	0.277	11	0.16	0.371	13	0.21	0.413
მინანქრის კარიესი	13	0.38	0.506	31	0.46	0.679	26	0.43	0.499
დენტინის კარიესი	10	0.77	0.439	32	0.47	0.503	11	0.18	0.388
ცემენტის კარიესი	3	0.23	0.439	0	0.00	0.000	2	0.03	0.180
შეჩერებული კარიესი	0	0.00	0.000	1	0.01	0.121	3	0.05	0.218
სარძევე კბილების კარიესი	8	0.62	0.506	15	0.22	0.418	8	0.13	0.340
მუღმივი კბილების კარიესი	7	0.54	0.519	29	0.43	0.498	20	0.33	0.473
კარიესული კბილების რაოდენობა	59	4.54	3.072	177	2.60	3.018	38	0.62	0.840
დაბუნელი კბილების რაოდენობა	18	1.38	1.758	24	0.35	0.641	18	0.30	0.558
ამოღებული კბილების რაოდენობა	31	2.38	1.850	30	0.44	1.028	21	0.34	0.629
კომპენსირებული	3	0.23	0.439	14	0.21	0.407	25	0.41	0.496
სუპერკომპენსირებული	2	0.15	0.376	13	0.19	0.396	10	0.16	0.373
დეკომპენსირებული	8	0.62	0.506	16	0.24	0.427	12	0.20	0.401
კბა ინდექსი	108	8.31	6.019	231	3.40	3.730	77	1.26	1.413

სარძევე კბილების კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს ვიტამინ D დამოკიდებულ რაქიტთან ( $F = 9.10$ ;  $p = 0.0034$ ) და კონტროლთან შედარებით ( $F = 18.04$ ;  $p = 0.0001$ ),

ხოლო ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტის დროს სარწმუნოდ არ განსხვავდება კონტროლთან შედარებით ( $p > 0.05$ ).

რაც შეეხება მუდმივი კბილების კარიესს, მისი სიხშირე არასარწმუნოდ მეტია ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს. კომპენსირებული კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია ვიტამინ D რეზისტენტული ვიტამინ D დამოკიდებულ რაქიტის დროს კონტროლთან შედარებით ( $F = 6.57$ ;  $p = 0.0116$ ), დეკომპენსირებული კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია ვიტამინ D რეზისტენტული რაქიტის დროს ვიტამინ D დამოკიდებულ რაქიტთან ( $F = 8.13$ ;  $p = 0.0055$ ) და კონტროლთან შედარებით ( $F = 10.64$ ;  $p = 0.0017$ ) და სარწმუნოდ არ განსხვავდება ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტის დროს კონტროლთან შედარებით ( $p > 0.05$ ).

